მაცნე
სამტრედიის

გაზეთი გამოდის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtrediismacne @ mail.ru

N15 (9195) 31 მაისი. 2016 წელი ფასი 50 თეთრი

"მე, შენ და საქართველო..." _ დამოუკიდებლობის დღე სამტრედიაში

2

4 სოფლის ექიმი, ოჯახის ექიმი ხალხის იმედია

საინტერესოდ აღნიშნული მუზეუმის დღე

5

4 დეკნილთა ჯანმრთელობაზე სახელმწიფო ზრუნავს

8 "ჯაზის, როკის და ჰიუზის ფესტივალი სიწითელი"

მშვიდობით ახა, ნახვამდის!

9 იცე იცხოვრეთ, ყოველთვის რომ იყოთ ადამიანი

7 მომავალი ანალგაზრდები წაანალიზებს

"ამ შვილს და წინა დედას სხვა ჯილგრავა არა აქვს"

"მე, შენ და საქართველო..." _ დამოუკიდებლობის დღე სამტრედიაში

ნათია ნაცვლიშვილი

საქართველო ეროვნული დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავს აღნიშნავს, სუსხი ახლავს მაისის საზეიმო დილას: საოკუპაციო მავთულხლართები გასდევს ჩვენს თვითმყოფადობას, სწორედ ამ დღეს ვაბარებთ მიწას რუსი ოკუპანტების ტყვიით განგმირულ ახალგაზრდას, ვოჩა ოთხოზორიას. ვგლოვობთ გმირებს და ვიხსენებთ ქვეყნის ერთიანობისათვის ბრძოლის მსხვერპლთ. არც სამტრედიის მუნიციპალიტეტია გამონაკლისი, ჩვენც ჭეიმობთ დამოუკიდებლობის დღეს.

11 საათზე მუნიციპალიტეტის პოლიტიკური ელიტა მომავლის პარკში შეიკრიბა. მოსახლეობაც გამოვიდა იმ ლამაზი სანახაობისათვის თვალის შესავლებად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის შემოქმედებითმა კოლექტივებმა რომ წარმოადგინეს. ღონისძიებების ორგანიზატორი, მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურია (ხელმძღვანელი ნატალია მანჯგალაძე).

ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის დირექტორი, რეჟისორი ვეფხია ნადირაძე შეკრებილთ მიესალმა, დამოუკიდებლობა მიულოცა და სიტყვა ხელისუფლების წარმომადგენლებს გადასცა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი, ვალერიანე ფოცხვერია: " 25 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს ეროვნულმა ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. დამოუკიდებლობის მოპოვება ეს იყო ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი ოცნების ასრულება. თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ჩვენი ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია. დამოუკიდებლობას მანამდე ვერ შევიგრძნობთ, ვიდრე ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა არ აღდგება. მჯერა, ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები მალე გამოხატავენ ჩვენთან ერთად ყოფნის სურვილს. ვუსურვებ მომავალ თაობას, გაერთიანებულ საქართველოში ეცხოვროს".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ ჯამბურია: "ეს მნიშვნელოვანი დღეა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი ოცნების აღსრულების დღე, დამოუკიდებლობის მოპოვება იყო რთული, უფრო ძნელია მისი შენარჩუნება. დარწმუნებული ვარ, მომავალი თაობა გამთლიანებულ, სულიერად ძლიერ საქართველოში იცხოვრებს". შესანიშნავი ლექსი შესანიშნავად წაიკითხა ქეთევან აბრამიშვილმა, რომელმაც ყველა მოსწავლეს ატესტატის აღება მიულოცა. "ჩვენკენ მოემართება ჩვენი ხვალინდელი დღე _ ასეთი წარდგინება გაუკეთა ვეფხია ნადირაძემ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ მე-4 ბაგა-ბაღის აღსაზრდელებს, რომელთა კოლონაც ქუჩაში მსვლელობისას გზად შემხვედრთა უამრავ ემოციურ შეძახილს იმსახურებდა. მათ წინ სამხედრო ფორმით ბაღის მმართველი ნანა დუნდუა მოუძღოდა: "ჯარო, დამპირდი, რომ დაიცავ საქართველოს საზღვრებს". მზად ვართ! _ იყო პასუხი. უკვე მესამე წელია, ნანა დუნდუა და მისი "პატარა ჯარისკაცები", ეროვნული დამოუკიდებლობის დღის ღონისძიებას ამშვენებენ. ამ "პატარა ჯარისკაცების" იდეის ავტორი ქალბატონი ნანაა. წლეულს პატარები ხორუმის ცეკვით შემოვიდნენ სცენაზე. მათმა გამოჩენამ იმდენად დადებითი ემოციები მოჰგვარა მაყურებელს, ზოგს ცრემლიც კი გადმოუვარდა თვალთაგან. "თქვენ გენაცვალეთ, პატარებო, არასოდეს გენახოთ შვილებო ომი!" _ თვალცრემლიანმა განაცხადა ქალბატონმა ნინო ჯოლბორდმა.

კიდევ უფრო ხალისიანი გახადა საზეიმო განწყობა №1 ბაგა-ბაღელთა (დირექტორი მარინა შენგელია) წარმოდგენამ. პატარებმა პატრიოტულ ჰიტად ქცეული სიმღერის მელოდიაზე იცეკვეს და იმღერეს. "მე, შენ და საქართველო". _ პატრიოტიზმის პირობა სიმღერით დაგვიდეს პატარებმა. ორივე ბაღის წარმოდგენის ქორეოგრაფიული ნაწილის ავტორი პედაგოგი თინა გრიგალაშვილია.

განახლებული რეპერტუარით წარსდგნენ მსმენელის წინაშე: სამტრედიისათვის შედარებით ახალი, მაგრამ კარგად ცნობილი ფოლკლორული ჯგუფი "ლადი" და აუმაღლა განწყობა მოზეიმეთ (ხელმძღვანელი ბეჟან გოგია), ანსამბლი "სამტრედია", მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ფოლკლორული ანსამბლი "ჩანგის" მეორე თაობა (ხელმძღვანელ მერი ტკვაცირიასთან ერთად) და ანსამბლ "ალილოს" მეოთხე თაობა (ხელმძღვენელი მადონა კოხრეიძე).

ჩოხებში გამოწყობილ ხელისუფლების წარმომადგენლებსაც მრავლად შეხვდებოდით. კობა ძიძიგურისათვის ჩოხას ოდენ მოდურობის დატვირთვა არა აქვს, ეროვნულ მოძრაობაში გაღებული წვლილით მან ამ სამოსის ტარების უფლება მართლაც სამართლიანად მოიპოვა. "სამტრედიის მაცნესთან" საუბარში მან განაცხადა: "ძალიან დიდი დღე არის, დამოუკიდებლობის აღდგენის დღეა. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, მოხდა განახლება, 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აქტის მიღებით პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ აღადგინა ეს დამოუკიდებლობა. ბედნიერი ვარ, რომ დამოუკიდებელ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ბევრ ჩვენ ღირსეულ წინაპარს არ მიეცა ბედნიერება, ეცხოვრათ დამოუკიდებელ ქვეყანაში, თუმცაღა, თავგამოდებით და თავდადებით იბრძოდნენ ამისათვის. ბედნიერები ვართ, თუმცა, ხშირად სათანადოდ ვერ ვაფასებთ ამ დამოუკიდებლობას. გარდა ამისა, 26 მაისი პირველი პრეზიდენტის პრეზიდენტად არჩევის დღეცაა და მერაბ კოსტავას დაბადების დღეც. არ შეიძლება ვახსენოთ ქვეყნის დამოუკიდებლობა და არ ვახსენოთ მერაბი და ზვიადი, სწორედ მათი შრომის და ბრძოლის შედეგია საქართველოს დამოუკიდებლობა. ვულოცავ ყველას".

მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე ლიზა კრავეიშვილი: "ძალიან ამაღლებული განწყობა გვაქვს. ქართველი ერი დიდი სიამაყით ემზადება ამ დღეს. ამაყი ვარ, რომ ასე ლამაზია იგი და ჩვენი სამსახურებიც კარგად მოემზადნენ ამ დღისთვის, ამაყი ვარ, რომ უშუალოდ ჩემი დაქვემდებარების ქვეშ მყოფი სამსახურები აწყობენ ამ ღონისძიებას. სამტრედია ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყო თავისი კულტურული განვითარებითა და აღმავლობით. ვუსურვებ მთელ საქართველოს და სამტრედიას წარმატებებს". განცალკავებით იდგნენ "ნაციონალური მოძრაობის" წევრები. რადგან ეს დღე ყველასია, განურჩევლად პოლიტიკური კუთვნილებისა, კომენტარი სამტრედიის "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარეს, ემზარ შუბლაძეს ვთხოვეთ, რომელიც ეროვნულ მოძრაობაში ადრეული ასაკიდანვე ჩაერთო:

" ეს დღე ყველას გვაერთიანებს. ყველა ქართველი ამ დღეს ერთ აზრზე უნდა იყოს, ერთნაირად ვაზროვნებდეთ ჩვენი ქვეყნისთვის, ქართველი ხალხისთვის და მომავლისათვის. 25-ე წელიწადი საქართველოს დამოუკიდებლობის, ეს არის უდიდესი მონაპოვარი ჩვენი ქვეყნისთვის და მონაპოვარია იმ ღირსეული ადამიანებისა, პირველი პრეზიდენტით დაწყებული, რომელთაც ეს დღე ჩვენამდე მოიტანეს. ვულოცავ ყველა ქართველს და ვუსურვებ მომავალი 26-ე წელიწადი გვეზეიმოს გამთლიანებულ საქართველოში. ამისათვის იღვწის ყველა, ვისაც ქართულად გული უძგერს, ქვეყანაზე ზრუნავს, ფიქრობს და მომავლის წარმატებისათვის დგამს ნაბიჯებს".

ტრადიციულად, ღია ცის ქვეშ სამტრედიელმა მხატვრებმა გივი წვერავამ, იაგო ჩხიკვაძემ, გივი ფრანგიშვილმა, ზაზა ღურბელეიშვილმა, თეონა გეგუჩაძემ თავიანთი ფერწერული ტილოები გამოფინეს, ნათია კაცაძე პირველად შეუერთდა მათ საკუთარი ნაქარგებით. იაგო ჩხიკვაძე: "დღეს შევუერთდით ამ ზეიმს. გამოვიტანე ნამუშევრები რომელთა თემატიკაა: ღამის პეიზაჟი, ურბანული მხატვრობა, ვენეცია, ქალაქის ხედი. ეს კლასიკური ნამუშევარია, ვენეციაში არ ვყოფილვარ, ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფია, სულს რაც სწყურია, მას აღიქვამს. ეს დღე თითოეული ქართველისთვის ღირსშესანიშნავი დღეა, ვისურვებდი, ჭეშმარიტ დამოუკიდებელ ქვეყანაში გვეცხოვროს".

დაანონსებული იყო, რომ გაიმართებოდა ბლიცი ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ გუნდურ პირველობაში ქალთა შორის სამტრედიელ მერი არაბიძესთან, ობიექტური მიზეზების გამო ცნობილმა მოჭადრაკემ მოსვლა ვერ შეძლო. მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის ნორჩ მოჭადრაკეებთან ბლიცი სიმონ ხაჟალიას მონაწილეობით გაიმართა. სიმონ ხაჟალია მოყვარულთა შორის სამტრედიის მუნიციპალური ჩემპიონატის არაერთგზის გამარჯვებულია. მოსწავლეებს შორის აბაშის რაიონის პირველი მაისის საჯარო სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ. ჩრდილში დაბმული ჭედილა იცდიდა, ვიდრე სამტრედიელები შეჯიბრში გამარჯვებულ საპრიზო ადგილის მფლობელებს გამოავლენდნენ. სულ 12 სპორტსმენი მონაწილეობდა. პირველი ადგილის მფლობელი გიორგი კაცაძეა, ჭედილაც ფალავანს ერგო, მეორე ადგილზე სერგო გოგიშვილი გავიდა, მესამეზე კი გოჩა ზაქრაძე. მსაჯობდა მსოფლიო ჩემპიონი ბადრი შენგელია. გამარჯვებულები მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ და ნატალია მანჯგალაძემ დააჯილდოვეს.

ღონისძიების ბოლო აკორდი ილორის დასახლებაში გამართული შეჯიბრი იყო ცხენოსნობის სხვადასხვა სახეობაში.

"გირჩი" სამტრედიაში

"მე ვის რა უნდა ვუთხრა, "ნაციონალი" იყავით"

ნინო ნანიტაშვილი

25 მაისს სამტრედიაში ახალი პოლიტიკური ცენტრის, "გირჩის" პრეზენტაცია გაიმართა.

მხარდამჭერებმა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა შეკრება დაიწყეს.

როგორც დაანონსებული იყო, ადგილზე შეკრებილებს დღის 4 საათისთვის ცენტრალური ოფისის წარმომადგენლები შეუერთდნენ და ოფისი ოფიციალურად გახსნეს.

საზოგადოებას სიტყვით მიმართა და ახალი პოლიტიკური ცენტრის საარჩევნო პროგრამა გააცნო პარტიის თავმჯდომარემ, ზურაბ ჯაფარიძემ. მან იქვე დაასახელა სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე გურამ ხურცილავა.

გურამ ხურცილავა, დაიბადა 1986 წლის 9 აგვისტოს სამტრედიაში, დაამთავრა სამტრედიის საღამო სკოლა. მოგვიანებით _ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მანქანათმშენებლობისა და ტრანსპორტის ფაკულტეტი რკინიგზების მშენებლობის სპეციალობით.

2008 წელს მუშაობა დაიწყო დიდი ჯიხაიშის ნიკო ნიკოლაძის სახელობის პროფესიული სწავლების ცენტრის კულაშის განყოფილებაში ინფორმატიკის მასწავლებლად. 2009 წელს იყო არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალი _ ინიციატივას" დამფუძნებელი და დირექტორი. 2009-2011 წლებში სამოქალაქო ინსტიტუციონალიზმის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებულ პროექტში "ცოდნის ძალა" პროექტის დირექტორი. 2011 წელს მასწავლებელთა განათლებისა და განვითარების ცენტრი "მოსწავლეთა ინტეგრაცია საზოგადოებაში" პროექტის კოორდინატორი. 2010-2014 წლებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან". 2010-2011 წლებში იყო დასავლეთ საქართველოს შპს "შექანიზატორის" მმართველი. 2011 წელს მუშაობა დაიწყო სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალურ გაერთიანებაში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობის საკითხებში წამყვან სპეციალისტად, შემდეგ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში წამყვან სპეციალისტად, ამჟამად იურიდიულ საკითხებში არის წამყვანი სპეციალისტი.

"თუკი რაიმე საინტერესო და კარგი მაქვს გავლილი, იმ ადამიანების დამსახურებაა ვინც კომუნალურ გაერთიანებაში დამხვდა. თამამად შემიძლია ვთქვა, ამ სამსახურში პროფესიონალი ადამიანები მუშაობენ". _ აღნიშნა გურამ ხურცილავამ.

2012 წელს იგი მუშაობდა სსპ-ი პროფესიული გადამზადებისა და პროფესიული ორიენტაციის ტრენინგების ტრენერად კომპიუტერულ უნარ-ჩვევებში.

2014 წელს გურამ ხურცილავა სტატისტიკის სამსახურის მოსახლეობის საყოველთაო აღწერაში სექტორის ზედამხედველია. ჩემთვის წარმატება ის არის, ვისთან ერთადაც მსიამოვნებს მუშაობა, იქ რომ ვარ სადაც თვითგანვითარებას ვერ ვღებულობ, ჩაკეტილ სივრცეში ვარ, ვერ ვახდენ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას, იქ არ ვჩერდები. ამიტომ წამოვედი შპს "მექანიზატორიდან" მიუხედავად თანამდებობისა და შედარებით სოლიდური ანაზღაურებისა.

შეკრებილებს სიტყვით მიმართეს იმერეთის რეგიონალური ოფისის თავმჯდომარემ, თემურ ცამციშვილმა და პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა გიორგი მელაძემ.

სამტრედიის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, გურამ ხურცილავამ მოწვეულ სტუმრებს მადლობა გადაუხადა მობრძანებისათვის და მასზე გამოცხადებული ნდობისათვის. მან მოკლედ დააფიქსირა თავისი პოზიცია: " ამ ამპლუაში ყოფნა ჩემთვის უცხო არ არის. საკმაო გამოცდილება მაქვს პარტიული მუშაობის. დარწმუნებული ვარ, ჩემი გუნდის წევრებთან ერთად ვიქნებით წარმატებული. დღეს აქ მოსული ადამიანების რიცხოვნობიდან გამომდინარე თამამად შეგვიძლია, აღვნიშნოთ, რომ "გირჩის" მიმართ ადამიანების დაინტერესება დიდია".

ოფიციალური ნაწილის ბოლოს გადაიღეს სამასხსოვრო სურათები და ახალი პოლიტიკური ცენტრის გახსნა საღამოსასწაულო ტორტით აღნიშნეს. "სამტრედიის მაცნემ" შეხვედრის ბოლოს ზურაბ ჯაფარიძესთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა.

რატომ უნდა ენდოს ამომრჩეველი "გირჩს", ამაზე ზურაბ ჯაფარიძემ ვრცელი კომენტარი გააკეთა: "ახალ პოლიტიკურ გაერთიანება "გირჩს" პირველ რიგში, იმიტომ უნდა ენდოს ამომრჩეველი, რომ მის რიგებში შეიკრიბნენ ახალგაზრდები, რომლებიც არ ყოფილან პოლიტიკაში და არასოდეს მოუტყუებიათ ამომრჩეველი, ტყუილი არ უთქვამთ მოსახლეობისათვის. მეორე არის ეკონომიკური პროგრამა, რომელიც ჩვენ შევიმუშავეთ და მისი მსგავსი ქვეყანაში არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ ჰქონია. ჩვენი კარები არის ღია. მათ შორის მზად ვართ, ვესაუბროთ ნებისმიერ პარტიას, არასამთავრობო ორგანიზაციას, ნებისმიერ საზოგადოებრივ ჯგუფს, ავუხსნათ, ეს არის ერთადერთი სწორი გზა. ჩვენ მზად ვართ დებატებისათვის. ერთი წელია, რაც ჩვენ ამ პროგრამაზე ვსაუბრობთ, ყველა დეტალი გვაქვს მოგებული, ვერავინ დაგვიმტკიცა, ვინმეს გააჩნია უკეთესი გამოსავალი. ამიტომ, ეს არის ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ამომრჩეველი უნდა გვენდოს. ჩვენ არ ვიტყუებით და ხალხს განსაკუთრებულს არაფერს ვპირდებით, ვპირდებით რეფორმებს, რიგ შემთხვევებში საკმაოდ მწარე რეფორმებს, რადგან არ იქნება ყველაფერი უმტკივნეულო. მაგრამ ეს არის ერთადერთი სწორი გზა, ქვეყანა ამოვიდეს ჭაობიდან. ნებისმიერი სხვა დაპირება არის, უბრალოდ, ტყუილი.

გვაქვს ბევრი გამოწვევა. ერთ-ერთი ეკონომიკურ რეფორმებში არის სანდო ფულის გაჩენა ქვეყანაში. ის რაც ლარს დაემართა, ეს არის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ეკონომიკის განვითარებაში. ფულს არ აქვს ნდობა. ჯერ იყო და ძალიან სწრაფად უფასურდებოდა, ახლა ძალიან სწრაფად მყარდება. ჩვენ გვაქვს ამ შემთხვევაში გამორჩეული ხედვა, რაც სხვა პოლიტიკურ პარტიებს არ გააჩნიათ. მივაღწიეთ იმას, რომ დღეს მთელი პოლიტიკური სპექტრი ჩვენი მესიჯებით საუბრობს, ყველა ლაპარაკობს, რომ გადასახადები და სახელმწიფო ხარჯებია შესამცირებელი. ეს ყველაფერი არის ჩვენი პროგრამა.

რაც შეეხება თქვენს კითხვას, რომ დღეს ჩვენს მხარდამჭერებში, ძირითადად, ყოფილი "ნაციონალები" არიან, ნაწილობრივ დაგეთანხმებით. დიახ, აქ წარმოდგენილები არიან ახალგაზრდები, რომლებიც წარსულში "ნაციონალურ მოძრაობაში" იყვნენ, არიან ახალგაზრდები, არცერთ პარტიასთან შეხება არ ჰქონიათ. მე თვითონ ვიყავი "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აღმასრულებელი მდივანი, მე ვის რა უნდა ვუთხრა, "ნაციონალი" იყავიო. ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ესენი არიან ჯანსაღი ადამიანები, აქვთ სწორი ხედვები. ამ ახალგაზრდებს ამ ქვეყნის სიკეთე უნდათ. ამიტომ მე მათ ვერ გავარჩევ.

არ მქონდა პრობლემა, ამ პარტიიდან მომავალ პარლამენტშიც ვყოფილიყავი. თუ რატომ შევაქციე ზურგი "ნაციონალურ მოძრაობას", ამას ბევრი სუბიექტური და ობიექტური მიზეზი აქვს. ეს პარტია, ჩემი აზრით, ვერ ახერხებდა განახლებას, რის გარეშეც შეუძლებელი იყო მოსახლეობის ნდობა დაემსახურებინა. დღეს "ნაციონალებში" არიან ადამიანები, რომლებიც აკრიტიკებენ იმ პრობლემებს, რაც ახლა არ გაჩენილა, რაც მათი დროიდან მოდის. ამდენად, მათი დამაჯერებლობა არის ნულის ტოლი და ამიტომაც არის ახალი სახეები საჭირო, რომლებიც წინა ხელისუფლებასაც გააკრიტიკებენ და ახალსაც.

მთავარია, ახლა ჩვენ დავაჯეროთ მოსახლეობა, როგორი უნდა იყოს მომავალი, როგორია სწორი გზა.

ეროვნულ დღესასწაულს მილოცავთ!

"ვაშენოთ ჩვენი ტაძარი ქვაზე,
ბნელში მსხდომთ კვლავაც ავუნთოთ კვარი
და მიგვიძღვოდეს ეკლიან გზაზე
წმინდა გიორგი და ნინოს ჯვარი".

ზ. გამსახურდია

ლევან გაბეჩავა

მოვიდა ვარდობისთვე და ისევ გვახსენებს თავს ის დიდი სიხარული, აღმაფრენა და ეროვნული პატივმოყვარეობის განცდა 1918 წლის 26 მაისს რომ დაეუფლა სრულიად საქართველოს.

მას შემდეგ თითქმის საუკუნეა, იგივე სიამაყით, გაუნელებელი პათოსით ვეგებებით ამ თარიღს, ყოველთა ქართველთა ეროვნულ დღესასწაულს.

26 მაისი, 1918 წელი.

აღსრულდა ჩვენი ერის საუკუნოვანი ოცნება, ერის მოწინავე შვილებმა მსოფლიოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის _ დამოუკიდებელი საქართველოს დაბადება ამცნეს.

1918 წლის 24 ივნისს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია გახდა.

დამოუკიდებლობის წლისთავზე, 1919 წელს დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობასა და ქართველ ხალხს ასე ულოცავდნენ ეროვნულ დღესასწაულს:

"ჩვენ პოლონეთის შვილები მივესალმებით მებრძოლ საქართველოს თავისუფალ შვილებს და ვუსურვებთ ყოველივე საუკეთესოს.

გაუმარჯოს საქართველოს!"

პოლონეთის წარმომადგენელი

"ამხანაგებო და მოქალაქენო, ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმავე გრძნობას, რომელსაც განიცდით თქვენ, ეს გასაგებიც არის. მე ვარ წარმომადგენელი არა მარტო ოსების, არამედ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრიც. თვით ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ორ ერს შორის არის ისეთი რამ კავშირი, რომელიც აერთებთ მათ".

გაგლოევი, ოსების წარმომადგენელი

"... გაუმარჯოს საქართველოს და აფხაზეთის დემოკრატიის ერთობას და ხალხთა შორის ძმობას!"

შერვაშიძე, აფხაზეთის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე

"სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა მხურვალედ მიესალმება საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის პირველ წლისთავს.

დე, ისტორიულად საუკუნეობრივი სიყვარულითა და მეგობრობით გაერთიანებულმა საქართველოს და სომხეთის ახლგაზრდა რესპუბლიკებმა გააფართოონ თავიანთი ძალ-ღონე ორივე ხალხის საბედნიეროდ".

ალექსანდრე ხატისოვი
სომხეთის რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე

"ძვირფასო ძმანო!

დღეს თქვენი მოძმე მაჰმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას, მრავალტანჯული საქართველოს დამოუკიდებლობას.

ჩემი გული ნაღველით ივსება, როდესაც ვიგონებ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თქვენთან არ არის.

მაგრამ მე იმედი მაქვს, რომ სამაჰმადიანო საქართველო, დღეს თუ არა ხვალ, ჭირშიც და ლხინშიც თქვენთან იქნება.

მაშ, გაუმარჯოს დღეს ამ საქართველოს, შემდეგ კი ეროვნულ ტერიტორიულად შეკავშირებულ საქართველოს".

ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე
ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელი

P. S. მილოცვები გაზეთებში "საქართველო" და "ერთობა" 1919 წელს დაიბეჭდა.

1921 წლის თებერვალში საბჭოთა რუსეთმა საქართველოს ანექსია მოახდინა.

მრავალჯერ დადგა ჩვენი ერი მას შემდეგ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, თუმცა, უფლის წყალობით დღემდე შევინარჩუნეთ ჩვენი იდენტობა, ენა, ტრადიციები, კულტურა.

ალტერნატივა არ გააჩნია საქართველოს ნატოში გაწევრიანებას. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, აფხაზეთი, ოკუპირებული ტერიტორიები კი ისევ პრობლემად რჩება. ამის მიუხედავად, 1918 წლის მაისის 26 იყო და რჩება სრულიად საქართველოს, ყოველთა ქართველთა ეროვნულ დღესასწაულად.

გილოცავთ!

ქალები პოლიტიკაში

ლევან გაბეჩავა

დიდი ხანია, ჩაბარდა წარსულს ის დრო, ქართველი ქალი მოჩხუბართა შორის მანდილს რომ ჩააგდებდა და... ჩხუბი, დაპირისპირება მშვიდობიანად მთავრდებოდა.

საერთაშორისო ორგანიზაციებმა ერთგვარი რეკომენდაცია გასცეს, რომ აუცილებელია პოლიტიკაში სუსტი სქესის წარმომადგენლები ჩართულიყვნენ. დიდი ხანია, არავის უკვირს მსოფლიოში ქალი-პრეზიდენტი,

ქალი _ პრემიერი,

მინისტრი,

სენატორი...

ქართულ პოლიტიკაში ამ მხრივ საქმე, მართალია, არცთუ ცუდადაა, მაგრამ...

პარლამენტის ვიცე-სპიკერი, უშიშროების საბჭოს მდივანი, თავდაცვის, იუსტიციის, განათლების მინისტრები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე... ქალბატონები არიან.

საკმაოდ არიან სუსტი სქესის წარმომადგენლები ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

რაკი ჭკუის დარიგება არავის სიამოვნებს და არც გვაქვს საამისო პრეტენზია, ამჯერად, აშკარად არავის მიმართ არ დავაფიქსირებთ უარყოფით განწყობას პოლიტიკოს ქალბატონების გვარსახელის მითითებით, რაც შეეხება ჩვენს დადებით შეხედულებებს, აქ კი ხმამაღლა გამოვხატავთ ჩვენს პოზიტიურ განწყობას უშიშროების საბჭოს მდივნის, ქალბატონ ირინა იმერლიშვილისადმი. მისი საუბრის გაწონასწორებული, დამაჯერებელი ტონი გვაძლევს საამისო საბაბს.

პოზიცია-ოპოზიციას შორის დავა, დაპირისპირება არც პოლიტიკისათვისაა უცხო და არც ქართული პოლიტიკისათვის, მაგრამ დავაც არის და დავაც.

ჩვენ (მე), ქართველ საზოგადოებას ეგონა, უეჭველად, პოლიტიკაში ქალბატონების ჩართვით უფრო სხვაგვარი ვითარება იქნებოდა...

ქალური კდემა, შორსმჭვრეტელობა, წინდახედულება, მოთმინება... პოლიტიკურ გადაწყვეტილებების მიღებისას იქნებოდა ასახული. რა ვითარებაა რეალურად, საყოველთაოდაა ცნობილი.

გაოცებული (თუ არა შოკირებული) დავრჩი, ამას წინათ, პარლამენტის ერთი სხდომის გამო, სადაც პოლიტიკურად სხვადასხვა პოლუსზე მყოფი ქალბატონები, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მაღალი კლასის მოსწავლეებივით იქცეოდნენ და "ამკობდნენ ერთმანეთს(?!)".

სიტყვა გაგვიგრძელდა, თემას გადავუხვიეთ, თუმცა, მაინც პოლიტიკის, ქართული პოლიტიკის ირგვლივ ვტრიალებთ.

არანაკლებ გავვოცდით, ამ დღეებში შუალედურ არჩევნებზე მომხდარი მუშტი-კრივის გამო.

კარსაა მომდგარი საპარლამენტო არჩევნები, რომლის ობიექტურ შედეგებზე დიდადაა დამოკიდებული საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკა, თითოეული ქართველის, ჩვენი ქვეყნის მოქალაქის ბედი სამომავლოდ.

ამდენად, დღეს, როცა საქართველოს ევროინტეგრაციას ალტერნატივა არ გააჩნია, მუშტი-კრივი და აყალ-მაყალი ნამდვილად არავის აწყობს მტრების გარდა, ხოლო მტრის წისქვილზე წყლის დასხმა სრულიად საქართველოს არ (გვ) აწყობს.

უდავოდ მისასალმებელია საქართველოს ხელისუფლების მაღალჩინოსანთა განცხადება, სადაც ისინი გმობენ სამეგრელოში მომხდარს და სუბიექტებს ჯანსაღი კონკურენციისაკენ, ნებისმიერი დონის არჩევნების მშვიდ ვითარებაში ჩატარებისაკენ მოუწოდებენ.

დაბოლოს, დღეს სიბრძნე, პოლიტიკურად რთულ ვითარებაში ლავირების უნარი ისეა საჭირო, როგორც არასოდეს.

სიმშვიდეც ისე გვჭირდება, როგორც ჰაერი ადამიანს, წყალი თევზს.

სხვა თუ არა თამარ მეფე და მისი ეპოქა გავიხსენოთ, სწორედ თამარმა მისცა მის კარზე არსებობის უფლება განსხვავებული აზრის ოპოზიციის (დღეის გაგებით) არსებობას.

დევნილთა ჯანმრთელობაზე სახელმწიფო ზრუნავს

ლევან გაბეჩავა

თვეების წინ, როცა სამტრედიაში კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილებს აფხაზეთის ავტონომიური

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები სტუმრობდნენ, დაანონსდა, რომ რიგ პრობლემებთან ერთად აფხაზეთის მთავრობა დევნილთა ჯანმრთელობის დაცვის კუთხით შექმნილი პრობლემების მოგვარებითაც დაინტერესდებოდა.

სიტყვა საქმემ დაამშვენა და 25 მაისს, აფხაზეთის მთავრობისა და ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ორგანიზებით, სამინისტროში მოქმედი მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში, თითქმის ყველა მიმართულების ექიმისაგან შემდგარი ჯგუფი ქალაქის ყოფილ საავადმყოფოში ჩასახლებულ დევნილებს ეწვია.

მართალია, პაციენტთა მიღება მხოლოდ ქალაქის ყოფილ საავადმყოფოში წარმოებდა, თუმცა აქ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მობინადრე სხვა დევნილებიც მოვიდნენ. მოვიდნენ და ყველანი კმაყოფილნი იყვნენ ექიმთა პროფესიონალიზმით, ჰუმანურობით.

ჩვენი მისვლისას განსაკუთრებული ხალხმრავლობა ექიმ ოფთალმოლოგ შიო ჩიტიაშვილთან იყო. დღეს 40-ზე მეტი პაციენტი მივიღეო, ბატონმა შიომ. როგორც აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ქალბატონ ქეთევან ბაკარაძისაგან შევიტყვეთ, ბატონი შიო მაღალკვალიფიციური სპეციალისტია, მიწვევა აქვს ინდოეთში, იგი ცნობილ კლინიკაში მოღვაწეობს.

არანაკლებ დატვირთული იყო ამ დღეს ექიმი ნევროპათოლოგი, ქალბატონი ლეილა ხვინგია.

სოხუმელი ნათელა გაგუა, გალელები იზოლდა ჯგუბურია, რიმა აბლოთია და სხვები სამადლობელს არ იშურებდნენ ექიმების, აფხაზეთის მთავრობისა და სამტრედიის მუნიციპალიტეტის მესვეურთა მიმართ, დევნილებისადმი გამოჩენილი ყურადღებისა და თანადგომისათვის.

_ დღევანდელი დღე სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის შემადგენელი ნაწილია, ქვეყნის მასშტაბით ვახორციელებთ მსგავს გამოკვლევებს.

ამჯერად კახეთის რეგიონში, შემდეგ კი მარნეულში მივემგზავრებით, განსაკუთრებით ის გვახარებს, რომ შესაძლებლობა გვაქვს, დევნილებს მედიკამენტებიც თან გადავცეთ, რა თქმა უნდა, უფასოდ. _ განუცხადა "სამტრედიის მაცნეს" აფხაზეთის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ქალბატონმა ქეთევან ბაკარაძემ.

_ თავადაც ნახეთ კმაყოფილი პაციენტები, ის ფაქტი, რომ ექიმთა წარმომადგენლობით ჯგუფს თავად ქალბატონი მინისტრი ჩამოჰყვა, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ ზრუნავს აფხაზეთის მთავრობა დევნილებზე, ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათ ჯანმრთელობაზე, რაც უდავოდ მისასალმებელია. _ აღნიშნა მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილემ, ქალბატონმა ლიზა კრავეიშვილმა.

_ როცა ხელისუფლებაში მოვედით, განვაცხადეთ, რომ მოსახლეობის, მათ შორის დევნილთა ჯანდაცვა პრიორიტეტი იქნებოდა და ასეცაა.

ნაკლებად მეგულება ქვეყანაში ადამიანი, რომელიც უკმაყოფილო იყოს ჯანდაცვის სისტემაში არსებული რეალობით. ვფიქრობ, დღევანდელი დღე დევნილთა პრობლემათა მოგვარებაზე ზრუნვის კარგი გამოხატულებაა. _ განაცხადა საქართველოს პარლამენტის წევრმა, ბატონმა გიორგი კახიანმა.

მუნიციპალიტეტის გამგებელი ვალერიანე ფოცხვერია და მისი მოადგილე ქალბატონი ლიზა კრავეიშვილი დევნილ ქალბატონს, მანანა ქიზიყელაშვილს შესაძლებლობის ფარგლებში სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემების მოგვარებას დაპირდნენ.

კვლავ რიგები იყო ექიმებთან მიღებაზე, როცა მედიის წარმომადგენლები ქალაქის ყოფილ საავადმყოფოში ჩასახლებულ დევნილებს და ექიმებს დავემშვიდობეთ.

სოფლის ექიმი, ოჯახის ექიმი ხალხის იმედია

ცენტრალურმა ხელისუფლებამ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე ზრუნვა მთავარ პრიორიტეტად რომ მიიჩნია, საყოველთაოდაა ცნობილი.

19 მაისს, მუნიციპალიტეტის გამგებლის ვალერიანე ფოცხვერიასა და სოციალური მომსახურების იმერეთის სამხარეო ცენტრის უფროსის მოადგილის, ზაზა აბულაძის შეხვედრას სადაბო და სასოფლო ამბულატორიების ექიმებთან, ძირითადად, ის ხასიათი ჰქონდა, რომ სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის თავკაცები უფრო ახლო, სიღრმისეულად გაცნობოდნენ იმ პრობლემებს, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს სოფლებში სამედიცინო მომსახურების კუთხით.

დიდი ჯიხაიში, ღანირი, საჯავახო... ის სოფლებია, სადაც მოწესრიგებულია სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებული საკითხები, ამ სოფლებში მოღვაწე ექიმები კი, მადლობას არა მარტო მოსახლეობისაგან, არამედ სოფლებში გამგებლის წარმომადგენლებისაგან, თავისთავად, გამგებლისაგანაც იმსახურებენ.

შეხვედრის დასაწყისში აშკარა იყო გამგებლის საუბრის მკაცრი, თუმცა სამართლიანი ტონი, თქვენ, ისევე როგორც მე, დაქირავებული ვართ ხალხისაგან და ხალხს უნდა ვემსახუროთ მთელი მონდომებითო, _ აღნიშნა გამგებელმა და მისი პირადი პატივისცემა თითოეული ექიმისადმი, რომლებიც შეხვედრაში მონაწილეობდნენ არაერთხელ დაადასტურა.

განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება ოფეთის თემში არსებულ ვითარებაზე, კერძოდ, აქ მოღვაწე ექიმის, ქალბატონ დალი მიქელაძის მისამართით კრიტიკა მისი პროფესიონალიზმის გამო არავის უთქვამს, აღინიშნა მხოლოდ ის, რომ ტრანსპორტირების პრობლემა დგას ცუდად და ამიტომ ვერ ახერხებს ექიმი სოფელში კვირაში ერთი დღის გარდა ასვლას, რაც რბილად რომ ვთქვათ, ყველაზე მაღალმთიანი სოფლის მცხოვრებთათვის არასაკმარისია.

ექიმებთან სააგენტოსა და მუნიციპალიტეტის გამგებელთან გამართული შეხვედრა მარტო შეხვედრისთვის რომ არ გამართულა, იმითაც დადასტურდა, რომ ოფეთის თემის ექიმს, შეეძლება, კვირაში კიდევ ერთ დღეს თანასოფლელები, რომლებიც პირადი საჭიროებისათვის ქალაქში ჩამოვლენ, პოლიკლინიკაში მიიღოს, სადაც საამისოდ ყველანაირი პირობაა შექმნილი.

შეხვედრაზე იმსჯელეს, რიგ საკითხებზე, რომელთა მიზანი სხვა არაფერია, თუ არა ის, რომ უკეთ, მაღალ დონეზე განხორციელდეს ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომლის სიკეთე დიდი ხანია თვალშისაცემია.

ლევან გაბეჩავა

ღამე მუზეუმში

თეა ბაბუნაშვილი

საუკუნეზე მეტი ხნის წინ, ალბათ, ყოველ საღამოს ისე ხმიანობდა ეს ეზოკარი, როგორც ამჯერად, საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ. ქართული ელიტა, საზოგადოების ღირსეული, ინტელექტუალური ნაწილი ამ უჩვეულოდ ლამაზ ეზოს აფარებდა თავს საქვეყნო საქმეზე მსჯელობისთვის. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, რადგან აქაურობა პირველი ქართველი მრეწველის, მეცენატის, ბანკირის და კიდევ სხვა არაერთი სფეროს საფუძვლიანი მცოდნის, ნიკო ნიკოლაძის ხელდასმულია და რადგან სახელმწიფო ოჯახის მოდელია, აქაურობაც ისეთია, უფრო სწორად, იმდაგვარია, როგორ ქვეყანაშიც უნდოდა ცხოვრება "ულმობელი საქმის კაცს", დიდ ნიკო ნიკოლაძეს.

მასსა და მისი შთამომავლების დამსახურებაზე ქვეყნის წინაშე, აქ, სახლ-მუზეუმად ქცეულ მის ეზო-კარში დაუღალავად შეუძლიათ ისაუბრონ.

ამჯერად "სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული". მიუხედავად იმისა, რომ ბევრჯერ ითქვა და ბევრი ითქვა, ნიკო ნიკოლაძე მაინც ვერ გაიცნო ქართველმა საზოგადოებამ ისე, როგორც ეს პირველ რიგში ქვეყნისა და ხალხისთვისაა საჭირო. მის ნაშრომებში ყველა იმ კითხვაზეა პასუხი, თანამედროვეობას კიდევ რომ ვერ მოუგვარებია საქვეყნო საქმის გადასაჭრელად.

"ღამე მუზეუმში" ევროპასა და რუსეთში კარგა ხანია აპრობირებული პროექტია, საქართველოში ახლა რომ იკიდებს ფეხს. კულტურის სამინისტროს მითითებით მასში დიდი ჯიხაიშიდან ნიკო ნიკოლაძის სახელობის სახლ-მუზეუმიც ჩაერთო და შვიდიდან ღამის პირველ საათამდე ახალგაზრდებსა თუ ინტელიგენციის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს, უბრალოდ, დაინტერესებულ პირებს მასპინძლობდა ნიკოლაძეების ფუძე-კარი. როგორც სახლ-მუზეუმის დირექტორი ლია ბიბილეიშვილი აღნიშნავს, კულტურის სამინისტროს ინიციატივა ნოვაციაა საქართველოსთვის: "მართალია, სამუზეუმო კვირეულს 12- დან 18 მაისამდე ყოველთვის შინაარსიანად ვგეგმავთ, მაგრამ ვფიქრობთ, ამ სიახლით კიდევ უფრო მივიზიდავთ დამთვალიერებელს. წელს პირველი წელია და სტუმრების რიცხვის სიდიდით არ გამოვირჩევით. მართალი გითხრათ, მეგონა მეტი დამთვალიერებელი გვეყოლებოდა." მან ისიც აღნიშნა, რომ კულტურის სამინისტროს ეგიდით და "ქართუ ფონდის" ძალისხმევით მუზეუმში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. "არქიტექტორები და კომპანია" ის ორგანიზაციაა, რომელიც 233 ათასი ლარის სამუშაოს შეასრულებს. "რემონტი გვიან, სექტემბერში დაიწყო. ხარისხით აღფრთოვანებულები არ ვართ. ამინდებმაც არ შეუწყო ხელი სამუშაოებს." _ ამბობს მუზეუმის დირექტორი. სამუშაოები ჯერჯერობით საბოლოოდ დასრულებული არ არის.

იქვე, სახელდახელო სცენზე მომღერალ-მოცეკვავე ახალგაზრდებს შორის ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები აქტიურობდნენ. მათთვის აქ სტუმრობა პროფესიული კუთხით ერთგვარი გასვლითი ლექცია გახლდათ. "ჩვენთვის აქ სტუმრობა პირველი არ არის. ყოველწლიურად ჩამოგვყავს აქ სტუდენტები და არა მარტო ტურიზმის მიმართულების, არამედ ეკონომისტებიც, რათა გავაცნოთ მისი პერსონა და ის საქმე, რაც ამ დიდმა კაცმა ქვეყანას გაუკეთა. შთამომავლობის წინაშე თავის მოსაწონებლად რამდენიმე ადამიანს ეყოფა ის საქმე, რაც მხოლოდ ნიკო ნიკოლაძემ მისცა და გაუკეთა ქვეყანას. მისი ვაჟიშვილი გიორგი ნიკოლაძე ტურიზმის მიმართულებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პიროვნება გახლდათ. ამიტომ, ვცდილობთ, სტუდენტებს უფრო ახლოს გავაცნოთ და უკეთ შევასწავლოთ ნიკო ნიკოლაძე." _ აღნიშნა უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ნანა შარაბიძემ. "საქართველოში ნიკო ნიკოლაძე არ არის ისე დაფასებული, როგორც მას ეს ეკუთვნის. მას მეტად უნდა იცნობდნენ მისივე ქვეყანაში. ეს არა მხოლოდ სახელმწიფოსი, არამედ ყველა იმ ადამიანის ვალია, ვინც სხვებზე მეტად იცნობს მას მეცნიერული თუ სხვა თვალსაზრისით. მისი ნაშრომები დღესაც ძალიან აქტუალურია. რა დროს განსჭვრიტა მან რა ეკონომიკური გავლენა ექნებოდა სხვადასხვა მოვლენას, ამა თუ იმ სიახლის დანერგვას ქვეყანაში. დიდმა ნიკომ სახელმწიფოს განვითარების თითქმის ყველა სფერო მოიცვა. გულსაწყვეტია, რომ ის ადამიანები, ვისაც მასზე ნაკლები, გაცილებით ნაკლები გაუკეთებია ქვეყნისთვის, გაცილებით პოპულარულები არიან." _ ამბობდა ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე იზოლდა ქაჯაია. უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი სერგო ცაგარეიშვილი, "ულმობელი საქმის კაცის" მეცნიერულ დანატოვარზე ამახვილებდა ყურადღებას.

დიდი ჯიხაიშის თემში გამგებლის წარმომადგენელი ნუგზარ ნუცუბიძე და აქაური მკვიდრი, საკრებულოს წევრი გოგი ლეჟავა მუნიციპალიტეტის გამგებელ ვალერი ფოცხვერიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსს, მიხეილ ლეჟავას შემოუძღვნენ ეზოში. მათთანაც სასაუბრო თემა, რა თქმა უნდა, ნიკო ნიკოლაძე და მისი საქვეყნო წვლილი გახლდათ.

საღამო კიდევ უფრო ბინდდებოდა. ღამე მუზეუმში უჩვეულოდ და სასიამოვნოდ მოიპარებოდა. ლექსსა და სიმღერას თანამედროვე ელფერი დაჰკრავდა ახალგაზრდებით ახმაურებულ სცენაზე. თუმცა, ესეც ამ სახლ-კარის ნოვატორი პატრონისთვის, საუკუნის შემდეგაც მის ნიჭიერებაზე რომ ალაპარაკებდა ასწლოვანი ხეების ჩრდილში ჩაკარგულ სტუმრებს, სიახლე ნაკლებად იქნებოდა, რადგან იგი ყველა დროის მოაზროვნე დიდი ნიკო გახლავთ.

საინტერესოდ აღნიშნული მუზეუმის დღე

ნათია ნაცვლიშვილი

მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე გვიმასპინძლია ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა მხარეთმცოდნეობის მუზეუმმა, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლშია განთავსებული. დაფით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელმა, მუზეუმის დიდმა ქომაგმა, ჯონი ნადირაძემ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა: "დიდი მადლობა ყველას, განსაკუთრებით ხელისუფლების წარმომადგენლებს, მუზეუმის დაარსების საინიციატივო ჯგუფის წევრებს, რომლებიც არ აკლებდნენ ყურადღებას ამ საქმეს, ვინც არ უნდა გვესტუმროს სამტრედიაში, შეგვიძლია ვაჩვენოთ ეს ადგილი და ვუთხრათ, რომ ეს არის ჩამოყალიბების პროცესში მყოფი სამტრედიის მუზეუმი, აქ გაცილებით მეტი ექსპონატი გვეწება და დარწმუნებული ვარ, მალე სამტრედიას აუცილებლად ეწება საკუთარი მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

ბევრმა არ იცის ჩვენი ქალაქისა და რაიონის ისტორია, სწორედ აქ მოეყრება თავი შესაბამის მასალებს".

ჯონი ნადირაძემ სიტყვა ამ საქმის ყველაზე დიდ გულშემატკივარს და წლების განმავლობაში მუხლჩაუხრელად მშრომელს, გულიკო ცინცაძეს გადასცა. ქალბატონმა გულიკომ მუზეუმის თანამშრომლების მიერ დღემდე გაწეული საქმიანობა ერთგვარად შეაჯამა და აღნიშნა, რომ ყველა ექსპონატმა, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში იქნა ნაპოვნი ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, უკვე მუზეუმში დაიდო ბინა. მათ შორისაა ტოლების თემში ადრექრისტიანული ხანის ეკლესიის ნანგრევებიდან აღებული მასალები, ზემო ტოლებში ახლახან ნაპოვნი ანტიკური ხანის ქვევრი.

მუზეუმს საკმაოდ ხალხმრავალი აუდიტორია ჰყავდა იმ დღეს, დარბაზში ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად იყვნენ მე-11 საჯარო სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები. სტუმრებისათვის ნაჩვენები იქნა სოფელ ნოღაზე გადაღებული ფილმი, რომლის სცენარის ავტორი გულიკო ცინცაძე, ხოლო რეჟისორი ვეფხია ნადირაძეა. ფილმის ავტორთა ინტერესის საგანს შეადგენს სოფლის ღირსშესანიშნაობათა კვლევა, ტოლების თემში შემავალ ამ სოფლის მკვიდრი გამოჩენილი ადამიანები, სოფლის უხუცესები, სახალხო მთქმელები, შემოქმედებითი კოლექტივები... ფილმში ნათქვამია, რომ სოფლის ცენტრში მდებარე ქვის ეკლესია, რომელიც კომუნისტების დროს დაუნგრევიათ, დამანგრეველების შვილიშვილებმა აღადგინეს და დღესაც ამ ტაძარში მამა დავით თოლორაია ქრისტიანულ ღვთისმსახურებას ეწევა. ფილმში მოთხრობილია აკაკი და მოსე შანიძეების პოეტ, ალექსანდრე შანიძის, პარმენ ლორიას და სხვათა შესახებ. ხაზგასმულია სოფლის სკოლის ისტორიის შესახებ. სკოლის დირექტორი, ციალა ძნელაძე, ამავე სკოლის პედაგოგები იური და ნათელა ბრეგაძეები, ლალი ყაჭეიშვილი და გულიკო ცინცაძე ამ კუთხის ღირსეული შვილების ბიოგრაფიებს ჰყვებიან, ფილმში საუბრობს სახალხო მთქმელი ისმაილ ახალაძე. ფილმში შევიდა ქალთა ანსამბლ "ათინათის" შემოქმედება. ანსამბლის წევრებმა შეასრულეს ა. შანიძის "ჩემო ტკბილო მეგობარო" და სხვა... კომპოზიტორი მზია ჯინჭველაშვილი ალექსანდრე შანიძის ლექსებზე მისი სიმღერების შექმნის ისტორიას იხსენებს.

სამტრედიის რაიონში მდებარე ეკლესიების შესახებ გამოცემული ედიშერ გვენეტაძის წიგნები ჯონი ნადირაძემ საჩუქრად გადასცა ნოღის საჯარო სკოლას. მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ნოღის და საჯავახოს სკოლებს მუზეუმისათვის გაწეული დახმარების გამო. მან ასევე ისაუბრა ახალი ჟურნალის "სამტრედიის მატიანე" შესახებ. იგი მალე გამოიცემა, მუზეუმის პერიოდული ორგანო იქნება და საინტერესო ამბებს მოგვითხრობს. ამ კეთილშობილური საქმის დამფინანსებელი სერგო რუხაძეა, ჟურნალი, მინიმუმ 500 ცალი დაიბეჭდება, წელიწადში 2-ჯერ გამოვა და ყველა საჯარო სკოლას გადაეცემა. გულიკო ცინცაძემ შეკრებილთ მუზეუმის ფონდის შევსებაში მონაწილეობის მიღებისაკენ მოუწოდა. მან ექვთიმე თაყაიშვილის საქმიანობა შეგვახსენა და მადლობა გადაუხადა რევაზ კანდელაკს, ისმაილ ახალაძეს, მადონა კოხრეიძეს (ოსიპო კონსტანტინეს ძე ბოლქვაძის ოჯახის შთამომავლებს) და ნათელა გელეიშვილს მუზეუმისათვის მეტად მნიშვნელოვანი, სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე ნივთების შემოწირვისათვის.

" _ იმ დროიდან ვთანამშრომლობ თქვენთან, როცა მხარეთმცოდნეობის კაბინეტის სახით არსებობდით, კარგია, რომ ასეთ საქმიანობას ეწევით ახალგაზრდობის სულიერ-ინტელექტუალური აღზრდისათვის, მეც მადლობას მოვახსენებ მუნიციპალიტეტის თავკაცებს მხარდაჭერისათვის". _ განაცხადა ჩვენმა კოლეგამ, ლევან გაბეჩავამ და მუზეუმს მრავალი საჭირო ნივთი შესწირა.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურიამ განაცხადა: "ნებისმიერ ჩვენგანის სული და გული არის ამ საქმეში ჩადებული, არ არის ოჯახი ჩვენს მუნიციპალიტეტში, წინაპართაგან ძვირფასი ნივთი არ დარჩენოდეს, ისეთი ნივთები, ჩვენს ტრადიციებს რომ ინახავს, შეველიოთ ზოგ მათგანს და შევწიროთ მუზეუმს, მადლობა თქვენ ამ ლამაზი დღის ორგანიზებისათვის".

ანსამბლი "ათინათი" (ხელმძღვანელი მარინა პაქსაშვილი) ულამაზესი ქართული სიმღერებით წარსდგა მსმენელის წინაშე. სულ ახლახან 70-ე სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაში გამარჯვებულ ქეთი ჯინჭველეიშვილს, ნოღის საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეს თემისათვის "ჩემი კუთხის ულამაზესი ტოპონიმები" პირველი ხარისხის დიპლომი გადასცეს, გაწეული ღვაწლისათვის სიგელით დაჯილდოვდა თემის ხელმძღვანელი, ნათელა ბრეგაძე. საქართველოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლიდან გამოგზავნილი ეს ჯილდოები გულიკო ცინცაძემ თავად გადასცა პედაგოგს.

"ძალიან დიდ კმაყოფილებას ვგრძნობ. დღევანდელი ღონისძიება იყო შესანიშნავი. ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა დოკუმენტურმა ფილმმა. ამ წუთში შეიძლება ამ ფილმს ისეთი დიდი ისტორიული მნიშვნელობა და ღირებულება არა აქვს, როცა ვასილ ამაშუკელი "აკაკის მოგზაურობას რაჭა-ლეჩხუმში" იღებდა, ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ ის დღეს დიდი განძია ჩვენთვის. გაივლის წლები, მოვა სულ სხვა თაობა, ასეთი ფილმები ჩვენთვის დიდი ფასეულობა გახდება. მსგავსი ფილმი ბევრი უნდა გადაიღოს ჩვენმა მუზეუმმა.

"დღევანდელი დღით მართლაც ძალიან კმაყოფილი ვარ" _ განაცხადა სამტრედიის მაცნესთან" ინტერვიუში მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ.

მშვიდობით ახა, ნახვამდის!

ნათია ნაცვლიშვილი

ჯანსულ ჩარკვიანის ამ ულამაზესი სიტყვებით დაიწყეს მეთორმეტეკლასელებმა თავიანთი ცხოვრების ყველაზე მქუხარე, სისხლსავსე, მჩქეფარე პერიოდის _ მოსწავლეობის დასრულების საზეიმო საღამო. არაერთი თაობა გაუცილებია ძველ სამტრედიად წოდებული ამ ადგილიდან მე-6 საჯარო სკოლას. არაერთი ღირსეული ქართველი აუფრენია თავისი ბუდიდან, არწევდა და არწევს ქართული განათლების აკვანს, მერე რა, რომ წლების დინებამ სხვა სკოლათა მსგავსად კონტინგენტი მასაც ლამის გაუმესამედა. დღეს მე-6 სკოლაში 11 მოსწავლისათვის ირეკება ბოლო ზარი.

ფასდაუდებელია თქვენი ამაგიო, უთხრეს მოსწავლეებმა პედაგოგებს, არაერთი ლამაზი ლექსი და ეპითეტი გამოიყენეს მათდამი მადლიერებისა და გულწრფელი პატივისცემის გამოსახატავად. ცხოვრება მათ ძალიან დიდ თვალსაწიერს გადაუშლის, ტვინ და ხელცარიელთ მის წინ დგომა რომ არ გამოადგებათ, კარგად იციან. ინტელექტუალური ბეგარა ცხოვრებას ამ თაობამაც ისევე უნდა გადაუხადოს, როგორც არაერთმა ამ სკოლიდან წასულმა გადაუხადა, დღეს მათზე სიამაყით რომ საუბრობენ პედაგოგები. "ბედნიერებაა სწავლის მიღება, მაგრამ უფრო დიდი ბედნიერებაა იმის ცოდნა, რომ მეტის გაგება შეგიძლია". _ ამბობს საღამოს წამყვანი ქეთევან აბრამიშვილი. ამ დღისათვის საგანგებოდ შენახული კადრებიდან ის პატარები იცქირებოდნენ, წლების წინ "დედაენის" სამყაროში რომ შეაბიჯეს, მერე პედაგოგმა ლელა გელეიშვილმა დედობრივი ზრუნვით მათ პაწია თითებს თეთრ ფურცლებზე ასო-ბგერათა ხნული გაავლებინა. მერე საგანთა "ლეგიონებიც" წამოიმართნენ, მრავალ პედაგოგს მოუწია მათი სათუთი სულების არქიტექტორობა. რამდენიმე წელია ნატო მსხილაძემ გადაიბარა კლასის დამრიგებლის მძიმე და თან სასიამოვნო ტვირთი. რუდუნებით, შრომით, გატეხილი ღამეების წყალობით შეძლეს პედაგოგებმა მოსწავლეთა ჭეშმარიტი და გულწრფელი სიყვარულის დამსახურება.

ერთმანეთის ყველაზე საუკეთესო შემფასებლებმა სხვადასხვა ნომინაციებში დაასახელეს თანაკლასელები. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი თამარ ჩახუნაშვილის სპორტული მიღწევებია კიოკუშინკაი კარატეში, მერე ყველა პედაგოგის ბრძნული გამონათქვამი გაიხსენეს, ყველა მოსწავლეს ძალიან მოეწონა ეს ნომინაცია, რადგან მეგობრული შარჟებისა და იუმორისტული ნომრების კვალდაკვალ პედაგოგები საყვარელი სენტენციებითაც წარმოაჩინეს. მაგალითად ასეთით: "მანამდე მაინც დავრჩეთ ადამიანებად, სანამ ბიოლოგიას არ აღმოუჩენია, რომ რაღაც სხვანი ვართ". ამ სიტყვების ავტორი ლეილა კუბლაშვილია, სკოლის დირექტორი და ბიოლოგიის პედაგოგი. "შრიალებს მათი ოცნების ალვა", ზოგს გულში სკოლის მერხიდან ადევნებული სიყვარულის ცეცხლიც უკიაფებს. ამიტომ არც სიყვარულისადმი ხოტბის აღვლენა დავიწყნიათ ამ გოგო-ბიჭებს.

"ორკესტრი არ არის ჩემი სიყვარული, დირიჟორს არ ემორჩილება". არც პატრიოტული ჟღერადობა დაუკლიათ ბოლო ზარის ზეიმისათვის. ბექა შენგელია მთელი ემოციითა და მუხტით, ქართული შემართებით იმეორებს ახალგაზრდა პოეტის სტროფს: "ფეხებზე მკიდია ევროპაც, აზიაც, მე ისიც მეყოფა, რომ მქვია ქართველი".

ქართული და უცხოური ცეკვების ცეცხლიც დაანთეს, როგორც ქართული, ისე, უცხოური ჰიტებიც შეგვისრულეს.

"მოგესალმებით, ჩვენო ძვირფასებო, გზას დაგილოცავთ, მაისის თვეში ჩვენი, პედაგოგების გულები ღელვით ივსება, მთელი 12 წლის განმავლობაში ჩვენ მოვალეობას ვასრულებთ, ვაკეთებთ ჩვენს საქმეს და ეს საქმე შემდეგ გამოგვაჩენს თქვენი სახით, იყავით ასეთი ლაღები, ლამაზები, ჭკვიანები, ზნეობრივ და ფიზიკურ სიჯანსაღეს გისურვებთ. _ დალოცა კურსდამთავრებულები სკოლის დირექტორმა, ლეილა კუბლაშვილმა.

კლასის დამრიგებელი, ნატო მსხილაძე:"ბავშვებო, დღეს ჩემთვის ძალიან მღელვარე და ამავე დროს ბედნიერი დღეა, გემშვიდობებით და გზას გილოცავთ, ახალი ცხოვრებისეული ბარიერები გაქვთ გადასალახავი, მე-9 კლასელები მოხვედით ჩემთან და ერთი წუთიც კი არ ყოფილა, რომ თქვენზე არ მეფიქროს. თქვენმა პირველმა მასწავლებელმა, ლელა გელეიშვილმა მოგილოცათ შორიდან, მიყვარხართ, ბედნიერ მომავალს გისურვებთ, იხარეთ, იდღეგრძელეთ ჩვენო ძვირფასებო!"

ისევ იუმორი და ლამაზ ნოტაზე დასრულებული საღამო სევდისა და სიხარულის ნაზავით, ჯერ ვერ გაცნობიერებული ვალდებულებებით, და მაინც აღსავსე ქართული შემართებითა და ღირსებით. თავადაც ამ სკოლის კურსდამთავრებულს არაერთგზის მომგონებია დიდოსტატის სიტყვები (განსაკუთრებით მაშინ, როცა მეექვსე სკოლაგამოვლილების წარმატებებს ვისმენ)"შენ ჰეი, მსოფლიოს უმცირეს მდინარის პირას შობილო ბიჭო, არ გაჯობონ დიდი მდინარეების პირას დაბადებულთა"! მეექვსე სკოლიდან კილომეტრის დაშორებით მდინარე რიონი მოჰქუხს, გულწრფელად ვუსურვებ ამ სკოლას, ისეთი მოსწავლეები გაეშვას, მდინარე ზანას პირას დაბადებული კონსტანტინე გამსახურდიას ეს სიტყვები თავადაც სიამაყით წარმოეთქვათ.

საკუთარი ბავშვობა სახსოვრად სკოლის ეზოს

თეა ბაბუნაშვილი

ის წვიმიანი საღამო დიდი დასაწყისი გახლდათ. სკოლის ლამაზ, ტანაყრილი ნაძვებით დაბურულ ეზოში, სადაც მიმოიხედავ, ყველგან ახსოვთ მათი ბავშვობა. და არა მარტო მათი, ბევრის, ძალიან ბევრის, უკვე გზაზე დამდგარის, ბავშვობის მონატრებით გულანთებულის. ამ ეზოში სხვები დარჩებიან სიცილ-კისკისისთვის, ანცობისთვის, სწავლაში გამოჩენილი ბეჯითობისა და თუნდაც, ზარმაცობისთის, პირველი სიყვარულისთვის და საერთოდ, იმისთვის, რომ მერე მათ რიგში ჩადგნენ, ეზის დალოცვას რომ ითხოვდენენ და ითხოვენ იმ მასწავლებლებისგან, მოსწავლეობის წლები მაიზე მეზრუნველობაში რომ გაატარეს.

კიდევ ერთი დასრულდა სასწავლო წელი და ... კიდევ ერთი თაობა დაადგა გზას ცხოვრების ლაბირინთებში სავლელს. მეთორმეტე_ ა გამორჩეული კლასი გახლდათ. ამიერიდან, როგორც ხდება ხოლმე, იამაყებენ, ჩვენ მესამე სკოლელები ვართო, დიახ, მაინც მესამე სკოლელებად დარჩებიან უკვე დიდებიც და ჭარმაგებიც. აქაურობა ამიერიდან ყველაზე ტკბილი ადგილი გახდება მშობლიური სახლივით, ბავშვობის მოგონებებივით, მოხუცი დედასავით ტკბილი.

გაუწვიმდათ. გამოსაშვებ საღამოზე მაინც ყველაფერი ჯადოსნურად ლამაზი, მხიარული და შინაარსიანი იყო. სანახაობის მომზადებისთვის ბოლომდე დაიხარჯნენ, საკუთარ ბავშვობას კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალი და მოსწავლეობის წლებს მოეფერნენ. ფოტოებით, ექსკურსიებსა თუ გაკვეთილებს შორის შესვენებებზე, თვით გაკვეთილებზეც კი, გადაღებული ვიდეოკადრებით მთელი თორმეტი წელი ამაღლებული განწყობით აჩვენეს მაყურებელს. ასე ნაწილობრივ საკუთარი ხასიათი გააცნეს, მოსწავლეობის სიგიჟეები უფროსებსაც შეახსენეს და საკუთარი ბავშვობა მოანატრეს.

პირველი მასწავლებელი ვერ ესტუმრათ. მერე რა, მათ სიყვარულს მაინც იგრძნობს მარინა ღვინერია, ადამიანი, 12 წლის წინ ისეთსავე საოცარ სამყაროში რომ შეუძღვათ, როგორშიც ამჯერად შედგეს ნაბიჯი. მერე მარინა მასწავლებელმა გაუწიათ მეორე დედობა. არაერთი თბილი სიტყვა უთხრეს მას. სიტყვებს არ დააჯერეს და სიყვარულის ნიშნად წითელი ვარდები უძღვნეს ელეგანტურ მარინა ნადირაძეს. უდიდესი სითბო ბოლო კლასებში მათ დამრიგებელს, თამარ კრავეიშვილსაც ერგო კლასისგან, ერთ-ერთი გამორჩეული რომ გახლავთ მესამე საჯარო სკოლის ისტორიაში. ტანგო? აბა სხვა ცეკვას ხომ არ აკადრებდნენ გამორჩეულად გემოვნებიან, მომხიბვლელ ქალბატონს და თამარ, იგივე ცირა, მასწავლებელთან ეს ცეკვა თითქმის ყველა მათგანმა შეასრულა. დალოცა ბევრმა, უფრო სწორად ყველამ სკოლის დიდი პედკოლექტივიდან. სკოლის დირექტორმა, ვენერე ივანიშვილმა საუკეთესო სურვილები საგზლად გაატანა სამომავლო წარმატებებისთვის. მთავარია, კარგი ადამიანები, ღირსეული მოქალაქეები დადგეთო, არ დაივიწყოთ ვისი გორაისა ხართო, მარინა ნადირაძემ.

სწავლაში ბეჯითები ცეკვა-სიმღერასა და იუმორშიც არავის უდებდნენ ტოლს. ჰოდა, რა გასაკვირია, მათი მომზადებული სანახაობა განსაკუთრებული რომ გამოვიდა. ფოიერვერკიც მომავლის ათას ფერს საკუთარ ათასს მატებდა და ... ასე ფერადად, ცამდე აჭრილი ცეცხლის ციმციმით, გულწრფელი სიყვარულით დალოცვილი ეზით სკოლის მაღალ ნაძვებიან ეზოს საკუთარი ბავშვობაც დაუტოვეს სახსოვრად, რათა მერე, ჭარმაგებმაც შეაღონ მისი ჭიშკარი და ისევე ბავშვურად თქვან, როგორც ჯერ ისევ ამბობენ, მესამე საჯარო ჩემი, ჩვენი სკოლაა, მშობლიურ სახლთან ერთად ყველაზე საყვარელი ადგილი დედამიწაზე.

"ამ ბაღის და ნანა დუნდუას სხვა კალიგრაფია არა აქვს"

ნათია ნაცვლიშვილი

სამომავლოდ ქართული თემიდა რომ არ გაილანძღოს, ქვეყანას ობიექტური, პატრიოტი და პროფესიონალი მოსამართლეები და პროკურორები რომ ჰყავდეს, ერთი სიტყვით, სასამართლო ხელისუფლება თავის მისიას ღირსეულად რომ ასრულებდეს, ზრუნვა ადრიდანვე უნდა დავიწყოთ მომავალი მოსამართლეების, პროკურორების თუ ადვოკატების სულიერი და ზნეობრივი სამყაროს ჩამოსაყალიბებლად.

მე-4 ბაგა-ბაღის ვამგე, ნანა დუნდუამ შვილის ნუკრის დედის მკვლელის, გელა ჭინჭარაულის ბრალდების საქმის ლიტერატურულ განხილვაზე მიგვიპატიჟა.

სცენარის ავტორი თავადაა, კონსულტაცია პროფესიონალებთან გაიარა. საგანგებოდ გაფორმებულ, სასამართლოს დარბაზს მიმსგავსებულ ოთახში მოსამართლის ჩაქუჩს დაჰკრავს 6 წლის თორნიკე რუსია და მთელი სერიოზულობით წარმოსთქვამს: "ლიტერატურული სასამართლო განიხილავს გელა ჭინჭარაულის ბრალდების საქმეს. სოფელ ჩარგლის მკვიდრს, გელა ჭინჭარაულს ბრალად ედება შვილის ნუკრის დედის მოკვლა".

როლში შედიან პროკურორი გაბრიელ შუბლაძე, მდივანი დეა ბასკანჩალაძე, მოწმეები... რკინის გისოსებში გამომწყვდეული ჭინჭარაული (ვალერი ახობაძე) საყვედურებს ისმენს და თვალზე ხელს იფარებს... "ტყეს ანათებენ ცრემლით სავსე ჩემი თვალები, დედა მომიკლეს, მარტო დავეხეტები, ჯერ რქებიც არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსრუტავ, დედის რძის ნაცვლად, ო, ადამიანო, რატომ არ შეგებრალე მე პატარა?"

დარბაზში მსხდომ სტუმრებს გული აუჩუყა ულამაზესი შვილის ნუკრის, ანასტასია ლიკლიკაძის მონოლოგმა. პროკურორის სიტყვას, რომ ჭინჭარაული 10 წლის ვადით ჩარგლიდან გასახლებას იმსახურებდა, გველის მჭამელად ცნობილი მინდია ჭინჭარაულის ძმის სიტყვა მოჰყვა: "არაერთხელ მსმენია ჩემი ძმის შვილების ტირილი, მამა გვშია, ხორცი გვენატრებაო. "ყმაწვილ უხორცოდ გაზრდილნი, რა ვაკაცობას იზამენ? "ბრალდებულის ადვოკატი, მათე მაკალათიაც მოწოდების სიმაღლეზეა და გამამართლებელი არგუმენტები მოჰყავს:

"არსებობის კანონი მუდამ გულისხმობს ერთი სიცოცხლის დთრგუნვას მეორე სიცოცხლის გადასარჩენად. რა ექნა ჭინჭარაულს, განა კვების რაციონში არ შედის ხორცი?"

"მისმა მსგავსმა ბრაკონიერებმა სრულიად მოსპეს ცხოველთა და ფრინველთა სახეობები, ჯეირანი გადაშენდა, შემცირდა ირემი, ფარშევანგი ძნელად სანახავია" _ ამ ტყვიაგაუმტარი არგუმენტების გაზიარებაც მოუხდა მოსამართლეს, მან ბრალდების შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია მისი აღიარება და დაპირება, რომ ყოველ დღე მიიტანდა 1 ბოთლ რძეს ობოლი ნუკრის გამოსაკვებად. გელა ჭინჭარაულის მიმართ გამოტანილი განაჩენი არის საზოგადოებრივი გაკიცხვა. განაჩენი საბოლოოა და კასაციას არ ექვემდებარება". _ დასძინა მოსამართლემ.

ვინაიდან დარბაზში იჯდა 20 წლიანი სამოსამართლეო გამოცდილების მქონე ქალბატონი ლუიზა ყუფარაძე, პირველი სიტყვა პატარების და ბაღის მმართველის ერთობლივი შრომის შესაფასებლად სწორედ მას მისცეს.

ლუიზა ყუფარაძე: "ისე ვღელავ, სიტყვების თავის მოყრა მიჭირს. არახალია და ძველია ის, რომ პატარას ყველაფერი უხდება, უხდება მოსამართლის მანტია, უხდება პროკურორის შესანიშნავი სიტყვაით რომ გამოვიდა და თავი მოგვაწონა, მაგრამ ერთი რამ მინდა აქ მყოფ ყველა დედას ვუსურვო, არასოდეს გამოეცადოთ ამ ბავშვების ე. წ. გისოსებს მიღმა ყოფნა, არც სახეზე ხელის ასაფარებლად მისცემოდეთ მათ საქმე, ყველა დედას აცილოს შვილების ასეთი ხვედრი. ქალბატონი ნანას მოწვევის შემდეგ გამიჩნდა მოკრძალებული აზრი, აქ მყოფმა საზოგადოებამ კარგად უწყის ჩემი სამოსამართლეო გამოცდილების შესახებ, ვინაიდან მე წარმავალი ვარ და ესენი მომავლები არიან, მინდა, ჩემი სამოსამართლეო რელიქვია ამ პატარებს ვუძღვნა და ვუსურვო უდიდესი წარმატებები. სამტრედია ყოველთვის იყო იურისტების სამჭედლო, თქვენ ჩვენი ღირსეული ცვლა იქნებით". _ ამ სიტყვებით გადასცა სუვენირი პატარებს ქალბატონმა ლუიზამ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ზაზა ადეიშვილი: "მადლობა ყველაფრისთვის, რაც ამ პატარებთან ერთად გვანახეთ, ქალბატონ ნანას სხვა კალიგრაფია არა აქვს, მიჩვეულნი ვართ მისგან, ამ ბაღისაგან შესანიშნავ ღონისძიებებს, დღევანდელმა კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. პატარები და ბაღის კოლექტივი რომ ერთად აკეთებს საქმეს, ეს სულ სხვა ჰარმონიაა. უსაშველოდ დიდი მადლობა, რომ ამ ბრწყინვალე ქალბატონის ლუიზა ყუფარაძის სიტყვები მოგვასმენინეთ, ქართული სამართლის, იურისპრუდენციის, სამტრედიის სიამაყე და ღირსება ქალბატონის".

ნატალია მანჯგალაძე, კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი:

"მოგესალმებით, პედაგოგებს, დამსწრე საზოგადოებას, ვფიქრობ თითოეული თქვენთაგანი უდიდესი შთაბეჭდილებების ქვეშაა. კიდევ ბევრს ველოდებით ქალბატონ ნანასგან არაერთ ნოვაციას".

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრია: "დიდი მადლობა მთელს პედკოლექტივს გაერთიანების ხელმძღვანელებთან ერთად, ამ ბაღის ერთ-ერთი გამოშვება ვარ, ჩემი სურვილი იქნებოდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ყველა ბაგა-ბაღი ანალოგიურ სიმაღლეზე ავიდეს".

"სამტრედიის მაცნეს" ჟურნალისტი, ჩვენი კოლეგა ნინო ნანიტაშვილი მადლიერების სიტყვებს ნანა დუნდუასა და მე-4 ბაგა-ბაღის მისამართით მშობლის რანგში ამბობდა, მისი ორივე ვაჟიშვილი ამ ბაგა-ბაღის აღზრდილია:

"ეს ბაღი ბევრი თქვენგანისათვის ძალიან საყვარელია, თუკი რამე სიბრძნე ჩემს შვილებს გაჩნიათ ცხოვრებაში, რა განათლებაც შეიძლება მიეღოთ იმ ასაკში, ყველაფერი მიიღეს, მადლობა ნანა დუნდუას დღევანდელი ღონისძიებისათვის, შვილის ნუკრის ბედზე ბავშვობაში ყველას გვიტირია, ნანა დუნდუა 5 წელიწადში ერთხელ წარმოადგენს შვილის ნუკრის ლიტერატურულ გასამართლებას და კიდევ ერთხელ ღრმად დაგვაფიქრებს. წარმატებები არ დაგლეოდეთ ქალბატონო ნანა".

ლიტერატურული სასამართლოს ფინალურ აკორდად ბაგა-ბაღის პედაგოგების სიმღერები აჟღერდა, გულო ბოხუას აღსაზრდელებმა კი სიმღერა სამტრედიაზე შეასრულეს, მუსიკალურ გაფორმებაზე პედაგოგებმა ლელა გოლიაძემ და ზეინაბ ხარშილაძემ იზრუნეს. ნანა დუნდუამ თანადგომისა და მხარდაჭერისათვის მადლობა გადუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, კულტურის სამსახურის ხელმძღვანელს ნატალია მანჯგალაძეს, სკოლამდელ დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელს ხათუნა ახობაძეს და წარმატებები უსურვა.

გაივლის წლები, ვინ იცის, იქნებ ეს ბავშვები მართლაც ღირსეულ პროკურორებად, მოსამართლეებად, ადვოკატებად მოგვევლინონ. მათ წარმოსახვაში უდავოდ დარჩება ეს ლიტერატურული სასამართლო, როგორც პირველი შეჭიდება ადამიანის ბედის გადაწყვეტასთან, ვაჟას შვლის ნუკრის გამო პატარაობისას მოგვრილი ცრემლი კი ის ბარიერი იქნება, რაც მომავალ მოსამართლეს უმძიმეს განაჩენზე ხელის მოწერისას ხელს აუკანკალებს, პროკურორს კი, საშუალებას არ მისცემს, ისე მოიქცეს, როგორც მოიქცა "იუდეველთა მეხუთე პროკურატორი, პონტოელი პილატე". როგორც მშობელი, უდიდეს მადლობას ვეუბნები ქალბატონ ნანას ჩვენი შვილების სულებზე ზრუნვისათვის, მათი გაფაქიზებისათვის, იმ ლამაზი ზნეობრივი გაკვეთილებისათვის, ამ კერაზე რომ უტარდებათ.

შემოქმედი ახალგაზრდები წაახალისეს

ნათია ნაცვლიშვილი

მუნიციპალიტეტის გამგეობამ შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ახალგაზრდები წაახალისა. განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებას ხელისუფლების წარმომადგენლები მრავლად დაესწრნენ. ამ ახალგაზრდებს "სამტრედიის მაცნე" უკვე კარგად იცობს. არაერთხელ გაგვიშუქებია ქეთევან აბრამიშვილის საჭადრაკო მიღწევები. ამჯერად ქეთი საკუთარი ჩანახატებით პირველად წარსდგა პუბლიკის წინაშე და მოწონებაც დაიმსახურა. ქეთიმ მე-6 სკოლა წლეულს დაამთავრა. პირველი საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია სვიმეონ პაპავა, მან მისი საოცრად ნაზი, რომანტიული განწყობით დატვირთული ლექსები წაგვიკითხა და არაერთი აპლოდისმენტი დაიმსახურა. შესანიშნავი პროზაული ნაწარმოებები _ ასე შეიძლება შეფასდეს ბათუმის სასულიერო სემინარიის მე-3 კურსელის, დავით მანჯგალაძის მიერ წარმოდგენილი ჩანახატები. გულგრილი არავინ დუტოვებია მის უსათაურო ჩანახატს, რომელიც ავტორის თქმით საგანგებოდ დატოვა უსათაუროდ, ისევე უსახელოდ, როგორც ამ ჩანახატის გმირი პატარა დედამ, როცა სასიკვდილოდ გაიმეტა. ნაწყვეტი ამ ჩანახატიდან: "ე. წ. "აბორტს" ის ადამიანები აკეთებენ, ვინც მას გადაურჩა...ამ ყველაფრის მოქმედი "ტარტაროზის ჯალათები", რომლებიც თავიანთ თავს ექიმებად მოიხსენიებენ, ალვასავით გამართულნი ისეთი რიხით ამბობენ "დედა ღვთისას" და "საქართველოს" სადღეგრძელოს, მათი სულების მსყიდველ მეფისტოფელსაც კი წასცვივდება ხოლმე "კურცხალი"... სამწუხაროა, მაგრამ ასე იქცევა დედის "სიცოცხლის დერეფანი" "სისხლიან კალოდ"... ეეჰ, დაუსრულებლად შეიძლება ამ საშინელებაზე საუბარი, მაგრამ ძალიან მიმძიმს, ამ თემაზე წერისას, მეგონა ლურჯი მელნის მაგივრად, აბელის სისხლისფერი მელნით ვწერდი"... ზურაბ ახობაძე და მერაბ გეგეჭკორი მე-3 სკოლის მე-11 კლასის მოსწავლეები არიან, მათ ლექსებშიც სატრფოსა და მეგობრობის სიყვარულის გამოძახილია. პატრიოტულ თემას ეხება ლალი კოხრეიძის ლექსები, ლალი მე-11 საჯარო სკოლის მე-9 კლასელია.

ნიჭიერ ახალგაზრდებს მიესალმა მუნიციპალიტეტის გამგებელი, მადლობა გადუხადა კულტურის სამსახურს ასეთი შემოქმედი ახალგაზრდების გამორჩევისა და შეკრების გამო და წარმატებები, მათი სახელის შორს გატანა უსურვა. "მე მიხარია ბიჭები გოგონებს, გოგონები კი ბიჭებს რომ უძღვნიან ლექსებს". _ აღნიშნა ბატონმა ვალერიანემ.

გალაკტიონის შესანიშნავი ლექსით მიესალმა ახალგაზრდებს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი და მადლობა გადუხადა იმის გამო, რომ ამ ბავშვებმა მორიდების ბარიერი გადალახეს და თავიანთი შემოქმედება გაგვაცნეს.

ჩვენი მთავარი რედაქტორი, ქეთევან ჭელიძე ასევე მიესალმა ნიჭიერ ახალგაზრდებს და აღნიშნა: "მისასალმებელია, რომ უფროსი თაობისა და ახალგაზრდების ურთიერთობა პოეზიით შედგა. ჩვენს გაზეთს არაერთი ახალგაზრდა სტუმრობს, რომელთაც მოაქვთ ლექსები. თქვენს ასაკში ბევრი წერს, კარგია, რომ ახალგაზრდები ასეთი ლამაზი ემოციებით და განცდებით არიან დატვირთულნი, წარმატებებს გისურვებთ ყველას!

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგური, საკრებულოს წევრი გოგი ლეჟავა და კულტურის სამსახურის უფროსი, ნატალია მანჯგალაძე ასევე მიესალმნენ შემოქმედ ახალგაზრდებს და გზა დაულოცეს.

ქართული პატრიოტული პოეზიის ანთოლოგია და შესანიშნავად გაფორმებული წიგნაკები გადაეცა საღამოს ყველა მონაწილე ახალგაზრდას.

"ჯაზის, როკის და ჰოუზიის ფენომენალური სინთეზი"

ნათია ნაცვლიშვილი

გოჩა ჭაბუკაიძის ნიჭიერების შესახებ ქართველმა მაყურებელმა პროექტ "ნიჭიერიდან" შეიტყო. როგორც ქართული, ისე უკრაინული "ნიჭიერის" გაცლების შემდეგ, მომღერალს მიწვევა აქვს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ამ სურვილის რეალობად ქცევაში მას მეგობრები ლაშა ბიბიჩაძე და ლიკა ჭელიძე ეხმარებიან. ისინი არიან მომღერლის პროდიუსერები. მათ ერთობლივად დაგეგმეს ტურნე საქართველოს მასშტაბით. სამტრედია უკვე მეათეა იმ ქალაქთა შორის, სადაც მუსიკოსისა და პოეტების შემოქმედების სინთეზი იხილა მაყურებელმა.

ახალგაზრდა ხელოვანების საინტერესო ინიციატივას დიდი მონდომებით დაუჭირა მხარი ადგილობრივმა ხელისუფლებამ. განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური საღამოს ორგანიზატორებს ბილეთების გაყიდვაში დაეხმარა, ასევე უსასყიდლოდ დაუთმეს ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრის სცენა. დაპირებული კონცერტი იმთავითვე ბადებდა მაღალი რანგის, ჭეშმარიტ ხელოვნებასთან შეხვედრის მოლოდინს და ასე მოხდა კიდეც. გოჩა ჭაბუკაიძემ მისთვის დამახასიათებელი საოცარი ექსპრესიით შეასრულა მსოფლიო დონის ჰიტები, მათ შორის ჯო კოკერის, ალექსანდა ბურკეს, თინა თერნერის რეპერტუარიდან. განსაკუთრებული სითბო კი ქართულ სიმღერებში ჩადო. სამტრედიაში პირველად მყოფი მომღერალი პირველად იმერეთს მოეფერა და შეხვედრა სიმღერა "იმერეთით" გახსნა, შეხვედრის ბოლოს კი ზურაბ მჟავიას "ხმალი ავლესოთ" შეასრულა. თავად აღნიშნა, რომ არის მართლმადიდებლური ეკლესიის მედავითნე და მისთვის განსაკუთრებულად მძაფრია სასულიერო თემატიკა. თავისივე პატარა ლექსი წაუმძღვარა წინ სიმღერას მიუზიკლიდან "მულენ რუჟი" "როქსენის ტანგო" და აღნიშნა, რომ ეს სიმღერა მისი სულის ერთგვარი აღსარებაა და მისი გულის და სულის წრფელ ამოძახილს გადმოგვცემს. "შევეცადე, როქსენში ჩემი სული გადამეტანა, მოგეხსენებათ, როქსენი მსუბუქი ყოფაქცევის ქალია, ასევე ჩემი სული ემსგავსება როქსენს, როცა ღმერთთან მუდმივად ვერ არის". _ დაგვიგონკრეტა კონცერტის შემდეგ მომღერალმა.

ნიჭიერ პოეტს, ჩვენებური წარმოშობის ლაშა ბიბიჩაძეს უკვე დედაქალაქის კულტურული ელიტაც კარგად იცნობს. ლაშა უკვე მეორე პოეტური კრებულის ავტორია. მისმა ლექსებმა უკვე გაიცვლიეს გზა ქართული პოეზიის ჭეშმარიტი თაყვანისმცემლების გულებამდე, მშობლიური სოფლის სიყვარული პოეტმა არაერთი ლექსით გაუკვდავა. მათ შორის ერთ-ერთი პოეტმა წაგვიკითხა, საიდანაც მოსახლეობისგან დაცლილი ქართული სოფლის გმინვა მოისმის. რაც შეეხება ქუთაისის ა. წერეთილის სახელობის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტ ბექა ფოცხვერიას, მის საოცრად გულწრფელ პოეტურ აღსარებასაც არ დაუტოვებია გულგრილი მსმენელი. პოეტებს თემურ ელიავაც უნდა შემოერთებოდა, მაგრამ პროდიუსერებმა გვითხრეს, რომ ის მესამე შვილს ელოდება და ამიტომაც მოსვლა ვერ მოახერხა, სამაგიეროდ, სამტრედიელებს ცალკე შეხვედრას და ლიტერატურული საღამოს გამართვას დაჰპირდა. ამ დაპირებამ დარბაზში მჯდომარი არაერთი ახალგაზრდა გაახარა. გულისტკივილით უნდა ვთქვათ, რომ ისეთივე ინტერესი, რაც ამ შემეჩხრებულ დარბაზში მსხდომებმა მომღერლის მიმართ გამოავლინეს, ნამდვილად არ გამოუვლენიათ ახალგაზრდა პოეტების მიმართ. გულწრფელად ვინატრე ის აკადემიური დარბაზი, სულ ცოტა ხნის წინ სულშეგუბებული რომ უსმენდა სამტრედიაში მონოსპექტაკლით სტუმრად მყოფ მურმან ჯინორიას.

კონცერტის შემდეგ შთაბეჭდილებების ქვეშ მყოფი მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილი სცენაზე ავიდა და გოჩა ჭაბუკაიძეს მიმართა: "მადლობა ამ უდიდესი სულიერი და ესთეტიკური სიამოვნების მონიჭებისათვის. გაკვირვებული ვარ, საიდან ეს ხმა და ენერგია".

"თქვენმა გაცნობამ უდიდესი შთაბეჭდილება და გავლენა მოახდინა ჩემზე, თქვენისთანა ჯაჭვის პერანგები ნუ მოუშალოს ღმერთმა საქართველოს" _ მიმართა მომღერალს საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კობა ძიძიგურმა. "ტურნედან გამომდინარე, ბევრ ქალაქში ვმოგზაურობთ , სამტრედიის მერე ვგეგმავთ ამბროლაურში, ონში, ცაგერში, ლენტეხში კონცერტებს, პირველ რიგში, სამტრედიელებს მოგესალმებით. ჩემი რეპერტუარი წლების განმავლობაში შევითვისე, დღეს წარმოვადგინე როგორც ჯაზური კომპოზიციები, ისე კომპოზიციები როკის ჟანრიდან. ლაშა და ლიკა ჩემი პროდიუსერები არიან, ბექა ფოცხვერია "ფეისბუქით" გავიცანი. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა თქვენს მუნიციპალიტეტს ასეთი დიდი თანადგომისათვის, აქ დამსწრეს ყველას".

სამტრედია ყველაზე დიდი მხარდაჭერის გამომვლენ ქალაქად დაასახელეს მომღერლის პროდიუსერებმა.

კონცერტის შემდეგ "სამტრედიის მაცნეს" თავისი შთაბეჭდილება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, იმედა გოგავამაც გაუზიარა: "მსგავსი ხარისხის და შინაარშის ღონისძიება დიდი ხანია, სამტრედიაში არ მინახავს. კულტურული მეტეორის ჩამოვარდნის ეფექტი ძალიან დიდი ხანი გამყვება, მომღერალმა საოცარი ექსპრესიულობითა და ენერგეტიკით შეასრულა მსოფლიო ჰიტები, მისი გამოსვლა ნებისმიერი დონის საკონცერტო დარბაზს დაამშვენებდა და აშკარად გამიმართლა რომსაშუალებ მომეცა, ასე ლაივში მომესმინა მისი შემოქმედება. რაც შეეხება ახალგაზრდა პოეტებს, მათ თავიანთი ფაქიზი, ღრმა და მეტყველი ლექსებით ერთიანად მონუსხეს მაყურებელი, ღონისძიებას კი სხვა ხიბლი და შარმი შემატეს. ვიმედოვნებ, რომ რკინიგზელთა ქალაქში კიდევ ბევრჯერ გაიმართება მსგავსი ხასიათისა და ფორმატის პერფორმანსები, სამტრედიელებს კი მოვუწოდებთ, უფრო ინტენსიურად და აქტიურად დაესწრონ კულტურულ ღონისძიებებს, რამეთუ კულტურაა ის მთავარი ძარღვი, რომელიც ასე ერთდროულად გვაღელვებს და გვამშვიდებს კიდეც".

"მინდა, ყველა დარბაზში მსხდომს მოვუხადო მადლობა ამ ნიჭიერი ადამიანების თანადგომისათვის". _ გვითხრა განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ.

ცეკვას გამოჯნყრებული თაობა

ქართული ცეკვის ზეიმზე დაგვპატიჟეს ქორეოგრაფიის დღესთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის (ხელმძღვანელი ნატალია მანჯგალაძე) მიერ ორგანიზებულ ამ კონცერტს დიდი ინტერესით ელოდნენ სამტრედიელები. სავსე დარბაზმაც ცხადყო ყოველივე, ოვაციები ადასტურებდა, დაუვიწყარი რომ იქნებოდა ბოლო დროს კულტურული ღონისძიებებით განებივრებულ ქალაქში გამართული მორიგი საღამო _ სადღესასწაულო ელფერშერეული.

ხელოვნება თავად უკვდავებაა, ცეკვაში ახმიანდა უფრეკი სული ჩვენი წინაპრებისაო, _ დასძინა წამყვანმა. ქალბატონი ირინა მაჭავარიანის ეს სიტყვები თავიანთი გამოსვლებით დაადასტურეს ქორეოგრაფებმა...

თუმცა მანამდე სცენაზე 82 წლის ახალგაზრდა მოცეკვავე იხმეს, დიახ, ამგვარად წარადგინეს გიორგი (ჟორა) კეშელავა, რომელმაც არა მარტო გაამართლა მასზე თქმული, ჭაბუკებსაც კი გაურთულა მისია _ ბატონი ჟორას მომნუსხველი შესრულების შემდეგ ოდნავი უზუსტობაც უპატიებლად მიიჩნიეს.

"დაისი", "ხევსურული", "ჯეირანი", "ცდო", "ფარიკაობა", "ყაზბეგური", "აფხაზური" _ მცირე ჩამონათვალიც კმარა, წარმოიდგინო დაუცხრომელი ემოცია _ დაღვრილი ომახიანი შეძახილითა და აელვარებული ხმალთა ნაპერწკლით.

შეგვიძლია თავი მოვიწონოთ, როცა ჩვენს მუნიციპალიტეტში ანსამბლები: "სამტრედია", "მერცხლები", "ზრდა მოცეკვავისა", "იმერი", "შევარდენი" არსებობს.

იზრდება თაობა ჯანსაღად მოაზროვნე, კეთილად მოქმედი, ცეკვას გამოჯნურებული...

"კიდევაც დაიზრდებიან!"

ვლადა კალანდია

ქართული მუსიკით ნათქვამი სათქმელი

ქართველი ხალხი, საუკუნეების მანძილზე, სათუთად ინახავდა ეროვნულ კულტურას, რომლის ერთ-ერთი განშტოებაც სამუსიკო შემოქმედება გახლდათ. აწრთობდა რა მას წლების ქურაზე, ჩვენამდე მოიტანა, როგორც უძვირფასესი საუნჯე, სამუსიკო შემოქმედების საგანძური. XIX საუკუნის დასაწყისში მის საფუძველზე აღმოცენდა ქართული კლასიკური მუსიკა.

როგორც ყოველთვის, დ. შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა ჩვეული აკადემიურობით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის 25-ე წლისთავს. პატარა მუსიკოსებმა, პედაგოგთა დახმარებით, დახვეწილად შეასრულეს ურთულესი ქართული კლასიკური ნაწარმოებები. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ულამაზესი ქართული მუსიკის ჰანგებით, საფორტეპიანო თუ საორკესტრო, საგუნდო თუ საესტრადო ფოლკლორის თუ ჩასაბერი განყოფილებები.

პედაგოგების: ი. რუხაძის, ქ. ხაჟალიას, ნ. ჟორჟოლიანის, თ. შურღაიას, ლ. ახალკაცის, ს. ახობაძის, ქ. ჭავჭანიძის, ლ. მელქაძის, მ. ბარათელის, მ. ნინუას, ე. მარკოსიანის, ი. ბექაიას, ნ. ვარდანიძის, ნ. გაბრიაძის, რ. კუბლაშვილის, ლ. ლაღიძის, ნ. ქვირიას, მ. ჟვანიას, ვ. შანიძის, მ. ტკვაცირიას, მ. გაჩეჩილაძის, ნ. ჭახნაკიას თავდაუზოგავი შრომის შედეგად მოსწავლეებმა ლამაზად შეძლეს იმის თქმა, რასაც ადამიანი ზოგჯერ სიტყვით ვერ ახერხებს.

ქართველ კომპოზიტორთა მიერ მუსიკალურ ბგერაში გარდასახული ადამიანური თუ ეროვნული გრძნობები სხვადასხვა ინსტრუმენტებით თუ ვოკალით გადმოსცეს 1-ელ კლასელებმა გიორგი სტურუამ, ქრისტინე კაშიამ, ნინო გეგეჭკორმა, ანასტასია სპირანტმა, ნინო თავაძემ, ანა ლორთქიფანიძემ; მე-2 კლასელებმა ქეთევან ზარიაშვილმა, მარიამ აბრამიშვილმა, მარიამ ბუაძემ; მე-3 კლასელებმა დემეტრე ნიკურაძემ, მერაბ გოგოხიამ, სოსო ვეზდენმა, თეკლა წითელაშვილმა, თეკლა გიორგაიამ, დაჩი ნიკოლეიშვილმა, ნინო არველაძემ, მარიამ ხუჭუამ; მე-4 კლასელებმა მირიან ჩხეტიამ, ელენე ესებუამ, მარიამ ბუაძემ, ნანა კოპალეიშვილმა, თედო კრავეიშვილმა; მე-5 კლასელებმა შოთა და მარიამ კვეტენაძეებმა, გიორგი ბოცვაძემ; მე-6 კლასელებმა ნინო ჩაჩუამ, ანა ორმოცაძემ, ანა ნადირაძემ; მე-7 კლასელებმა ქეთევან ბარდაკოვმა, თამთა თევზაძემ, რამაზ შენგელიამ, ბექა ხუჭუამ.

კონცერტი ქართული კდემამოსილებით, კლასიკურად მიჰყავდა ამავე სკოლის პედაგოგს, ქალბატონ ინგა ბექაიას.

ქართული ჰანგების ძალით აცრემლებული მაყურებელი "ბრავოს" შეძახილს არ იშურებდა. საცნაური იყო კლასიკური მუსიკის მოყვარული მსმენელის, ქალბატონ ვიოლა ნადირაძის შენიშვნა: "ახლა მივხვდი, თუ რა არის ის, რაც ქართველს განსაკუთრებულად დაგანახებს, ეს არის ის შინაგანი ინტელიგენტობა, რომლის გამოწრთობაც არ შეიძლება. ამ სხივს მხოლოდ უნდა მოვუაროთ, გავუფრთხილდეთ, რომ არ დავკარგოთ. ეს არის ჩვენი თვითმყოფადობა".

გეთანხმებით ქალბატონო ვიოლა!..

ლიკა პატარიძე
ფილოლოგი და ჟურნალისტი



"მას ენდე და კვლავ მიანდე შვილთა ბედი"

"პაწია წიგნი ბედ-იღბლით კიდობანს გამოემგვანა და რაც შიგ გადანახულა, ის გადაარჩენს ქვეყანას". _ ვინ უწყის, უკვე მერამდენე თაობა იმეორებს შოთა ნიშნიანიძის მიერ დედა ენის ხოტბად აღვლენილ ამ ულამაზეს სტრიქონებს, პედაგოგმა ნატო ადეიშვილმაც მრავალგზის ასწავლა მოსწავლეებს ეს და კიდევ უამრავი ლამაზი ლექსი დედა ენაზე, ანბანს აცილებს დღეს მე-12 საჯარო სკოლის პირველი კლასი. ეფერებიან პატარები იაკობის დედა ენას. "ქართული სიტყვის მადლს ნაზიარებნი ვართ, ამ მადლს შეუძლია ხატიას თვალისჩინი დაუბრუნოს, ლუარსაბს კი _ წიგნი შეაყვაროსო". _ გვითხრეს პატარებმა და ამ პერსონაჟთა გაცოცხლებით ისეთი საინტერესო სპექტაკლი წარმოგვიდგინეს, ამ სიტყვათა ჭეშმარიტებაშიც დაგვარწმუნეს. უვიც მგელს ჭკვიანმა კრავმა ქართულიც ასწავლა. ამ იგავ-არაკის ახლებური ვერსიაც ძალიან საინტერესოდ წარმოადგინეს.

ტკბილხმოვანი ჰანგები იმღერეს პატარებმა, მათთან ერთად იმღერეს მეხუთეკლასელებმა, ნატო მასწავლებლის უკვე ყოფილმა მოსწავლეებმა. სკოლის სასწავლო ნაწილმა, ხათუნა კოსტავამ, ყველა პატარას სიგელები გადასცა 2015-2016 სასწავლო წლის წარმატებულად დასრულებისათვის და განაცხადა: "მოგესალმებით ჩემო ლამაზებო, მოხარულნი ვართ, ასეთი შესანიშნავი ზეიმის მოწმენი რომ გავხდით, გისურვებთ, ასეთი ლამაზები ყოფილიყავით მუდამ, გვერდით გყავთ ძალიან კარგი პედაგოგი, თქვენ დღეს გვერდით გიდგანან ასევე მე-5 კლასელები, რომლებიც ნატო მასწავლებელმა აღზარდა, მათ მართლაც დაამშვენეს დღევანდელი დღე, ჩვენი სკოლის დირექტორი, ხათუნა თელია შემოქმედებითი მივლინებით იმყოფება ავსტრიაში, ვენაში. მან გისურვათ წარმატებები, გისურვებთ პატარებო ეს ცოდნის ჭაპანი მთელი ცხოვრება გეწიოთ!"

ღონისძიების მუსიკალური ნაწილი პედაგოგმა ლელა გოლიაძემ მოამზადა.

ნათია ნაცვლიშვილი

ისე იცხოვრეთ, ყოველთვის რომ იყოთ ადამიანი

ამ მრავლისმთქმელი სიტყვებით პირველკლასელებმა გააცილეს მეთორმეტეკლასელები კულაშის საჯარო სკოლაში.

შორს წაგვიყვანს ამ სკოლის სახელოვან ტრადიციებზე, ღირსეულ აღზრდილებზე საუბარი.

საზეიმო განწყობა სუფევდა 19 მაისს სკოლაში, თუმცა ზეიმს სევდაც ახლდა, სევდა ნაჩვევ კედლებთან, საყვარელ აღმზრდელებთან განშორებისა.

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი უძველესი სკოლა წელს საიუბილეო 120-ე გამოშვებას აცილებს.

სკოლის დამთავრებას წელს 15 მოსწავლე აღნიშნავს, მათგან ორი მარიტა კვანტალიანი და ანა ბადუაშვილი ოქროს მედალზე არიან წარდგენილები.

იუმორით გაიხსენეს უკვე კურსდამთავრებულებმა მოწაფეობის წლები, გულწრფელად, სიყვარულით მოეფერნენ მათზე მზრუნველ პედაგოგებს და გულწრფელადვე უთხრეს ბოდიში ანცობისა და სიცელქისათვის, დაჰპირდნენ მათ, მშობლებს, შეკრებილთ, რომ არ შეარცხვენენ ოჯახებს, სკოლას, პედაგოგებს და სამშობლოს ღირსეული შვილები იქნებიან.

განსაკუთრებული მღელვარება ამ დღეს, გასაგები მიზეზების გამო, მეთორმეტე კლასის ხელმძღვანელს ქალბატონ მაყვალა ხუჭუას ეტყობოდა, ეძნელებოდა იმ გოგო-ბიჭებთან განშორება, რომლებთანაც 4 წელი მშობლების შემდეგ ყველაზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა.

ამაღელვებელი იყო პირველკლასელთა მისალმება, კურსდამთავრებულთა გაცილებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას განსაკუთრებული ელფერი ლამაზად შესრულებულმა ცეკვებმა შესძინა (ქორეოგრაფი დათო ჯულაყიძე).

ახალგაზრდებს ცხოვრების ფართო გზაზე გასვლა მიულოცეს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ვალერიანე ფოცხვერიამ, დეკანოზმა რომანოზმა (ნინუა), მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა იმედა გოგავამ, სკოლის დირექტორმა ნუგზარ კვანტალიანმა.

ჩვენც ვუერთდებით გულწრფელ მილოცვებს, წარმატებებით გევლოთ ცხოვრების ბობოქარ ლაბირინთებში, ახალგაზრდებო!

ლევან გაბეჩავა

თქვენ, ნაღვლიანი თვალების პატრონს

თქვენ, ნაღვლიანი თვალების პატრონს,
გადაგავიწყდათ თითქოს კისკისი,
აჰ! სიხარულის ყოველგვარ მნათობს
აეკრძალება განა გიზგიზი?!
მზერა _ მის თვალწინ გახსნილი გული,
გემახსოვრება ეს დღე ძალიან,
როს თვალთა თქვენთა აღძრული შური
და სიამაყე ერთად არიან.
რა შეაჩერებს? რომ გითხრათ სწორი,
დამძიმდა გული მწარე ფიქრებით,
ამას თქვენ ამბობთ, ვითარცა გნოლი
და ადასტურებთ გადაფითრებით.

ყვავილს ფოთოლი მოსწყდა

ყვავილს ფოთოლი მოსწყდა,
გული გვატკინა ქარმა,
აქ არ მოგვიწევს მოცდა,
ამ გზით მოგვიწევს გავლა.
ყვავილს, გაძარცვულს ქარით,
ვით ზეთისხილის რტოებს,
მზე ხსოვნის იალქანით
ნუგეშად დაიტოვებს.
იწვის ყოველი ცეცხლით,
გულსაც ედება ალი,
ჩვენ ხომ ვერაფერს შევცვლით,
თუმც გვრჩება საფიქრალი.

რა შინაური გაქვს გამოხედვა

რა შინაური გაქვს გამოხედვა,
მით ახლობელი მგონიხარ, ქალო,
ვინ შეგასწავლა ასე თავხედმა,
სული წარმტაცო, დარდი შემყარო.
ბრალდება, ვიცი, ვერ შეგაშინებს
ცოდვის, წამების, შენა ხარ წყარო,
მზე მომღიმარე გაშინაურებს,
ამადაც ჩემი მგონიხარ, ქალო!

მაგრამ გული რომ დაჰკარგავს ხალისს

თქვენ მე მასწავლეთ, როგორ მოვიქცე,
როდესაც თქვენი თვალები ბრწყინავს,
და ღიმილიან ტუჩების სივრცე
ფიქრებს დამასევს! აჰ! არ გამწირავს,
ამ დროს ყოველთვის ფრთხილი ვარ, ვიცი,
და ჩემს ხასიათს არც ვემდურები,
მხოლოდ ერთია, რასაც განვიცდი,
მუდამ მღელვარებს ჩვენი გულები.
აჰ! დავიჯეროთ, რომ ასეც არის,
ასეც იქნება, რადა თქმა უნდა,
მაგრამ გული რომ დაჰკარგავს ხალისს,
ვიტყვით, სიცოცხლე გაუდაბურდა.

უამინდობას ამხელს წარსული

ეს მონატრება თავგზას აგვიბნევს,
როს საფიქრალად გადაგვექცევა,
ვით გულმოკლული გულზე ვარდს იბნევს,
ვერ ახალისებს თავის შექცევა.
ცივი თვალებით საუბარს გული
გადავაყოლოთ, არა მგონია,
უამინდობას ამხელს წარსული,
უამინდობა მონაგონია.
და ასე, ცრემლთა ახალ ნაკადად
როს მოასკდება გულზე ნაღველი,
სურვილს ვაწყდებით, ვდგებით ქადაგად,
თითქოს, დაგვცინის მზერა დამღლელი.
და შორი გზიდან, ექოს მოვარდნილს
ცივი თვალები ვერ შეაჩერებს,
ვითარც ჩანჩქერის გადმომსკდარ ვარდნილს,
ვხედავთ, ტალღათა რიგი ახელებს.

დავით ჩირგაძე

სათქმელი ბევრი დარჩა

ზოგადად, ცხოვრება ადამიანთა შორის ურთიერთობათა ჯაჭვია, უაღრესად რთული და ფაქიზი, რომელიც დროთა განმავლობაში, მიზეზთა და მიზეზთა გამო, რყევას განიცდის, ხან წყდება და ხან კიდევ სიმყარეს ინარჩუნებს. ერთი სიტყვით, განვლილი ცხოვრება ამ ურთიერთობათა ჯამია, ხან ლამაზ მოგონებებს რომ აღძრავს, აგამაღლებს და ხან ჯაჭვის სუსტ რგოლსაც, რომელიც გარკვეულ ეტაპზე დაახლოებულ ადამიანთან დაშორების განცდას ამძაფრებს, გულსა და ტვინს გიღრღნის და გაწვალებს. ადაპტირებულ ურთიერთობას და მეგობრობას მზის სხივი დაჰნათის და მესსიერებიდან ასე იოლად არ ქრება.

ქალბატონი თამარ კორკოტაძე საქალაქო ბიბლიოთეკაში მუშაობის წლებში როცა გავიცანი, არ გამჭირვებია ამომეკითხა მასში მაღალი ინტელექტი და გულის სიღრმეში ჩაძირული ტკივილი, რაზეც ხმამაღლა არასოდეს საუბრობდა, მაგრამ მის ხასიათს მუდმივად თან სდევდა. ეს კი ზოგჯერ შეუვალს ხდიდა, ამდენად, ის იყო თბილიც, ჰუმანურიც და თითქოს, მკაცრიც. სწორედ ამ თვისებებით და გამორჩეულობით მიყვარდა, ვაფასებდი და ყოველთვის ანგარიშს ვუწევდი. მძიმე ხვედრი ერგო თამარს. სურამელი გოგონა ეწრის ბავშვთა სახლში გაიზარდა: ნიჭიერი მოსწავლე სხვა ბავშვებთან ერთად იანეთის საშუალო სკოლაში სწავლობდა, შემდეგ სწავლა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. ბინა ინსტიტუტის მახლობლად დაიქირავა. როგორც თავად ამბობდა, დიასახლისი უაღრესად განათლებული ქალბატონი აღმოჩნდა, რომელსაც მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონდა. სწორედ იქ მოახერხა შეესწავლა რუსული ენა და ფართოდ გაცნობოდა ქართველ და რუს კლასიკოსთა შედევრებს. სტუდენტობის წლები თამარმა მიზანმიმართულად გამოიყენა, თავის პროფესიას სათანადოდ დაეუფლა და მაღალკვალიფიციური სპეციალისტი დაუბრუნდა სამტრედიას, როგორც მისთვის მშობლიურს და მზრუნველს. მან იმუშავა ბიბლიოთეკარად, სამხატვრო ხელმძღვანელად ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის სახლში, სასწავლო ნაწილის გამგედ ჩხენიშის 8-წლიან სკოლაში, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ლიცეუმში "XXI საუკუნე". ის ყველგან მაღალპროფესიული დონითა და პასუხისმგებლობით გამოირჩეოდა. თამარმა უდიდესი წვლილი შეიტანა ჩხენიშის სკოლის სახელოვან მამულიშვილთა მუზეუმის გახსნაში სკოლის ყოფილ დირექტორ მიხეილ ჯიბლაძესთან და ენთუზიასტ პედაგოგებთან ერთად. ამასთან დაკავშირებით ბრწყინვალე სასკოლო ღონისძიება მოამზადა, რომელმაც აღფრთოვანა მოწვეული სტუმრები. მის მიერ მომზადდა სცენარები ქალთა რაიონული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული საღამოების, პოეტების: ლილი ნუცუბიძის, ზოია ვაშაკიძის, ნოდარ ადეიშვილის. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების მე-40 წლისთავის, აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოსადმი მიძღვნილი ზეპირი ჟურნალის. მახსოვს, აკაკი წერეთლის ღონისძიებასთან დაკავშირებით ითხოვა უნიკალური მუსიკალური ჩანაწერები და ვასილ ამაშუკელის უხმო ფილმი "აკაკი წერეთლის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელთა მოპოვება ძლივსღა შევძელით. ქალბატონი თამარი კარგად ერკვეოდა მუსიკაში, ქორეოგრაფიაში და ვერ ეგუებოდა საქმისადმი ზერელე მიდგომას. ამიტომ დაიმსახურა პოეტების, ლილი ნუცუბიძის, ზოია ვაშაკიძის და ნოდარ ადეიშვილის მადლობა. როცა პოეტ ანა კალანდაძისაგან შეხვედრაზე თანხმობა მივიღეთ, მან მოამზადა სცენარის ერთი ნაწილი, მოულოდნელად მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამძიმდა. გამოცდილი ექიმის, დოდო ავალიანის მკურნალობითა და დახმარებით თამარი გადარჩა, მაგრამ ბოლომდე ვერ გაითავისა რეალური საშიშროება და კვლავაც მისთვის სანუკვარ პედაგოგიურ საქმიანობას შეუდგა. ძალები არ ეყო, მარტოსული ადამიანი სიცარიელეში დარჩა. ირგვლივ ბინდი ჩამოწვა. იგი მიიცვალა უხმოდ, თუმცა სათქმელი ბევრი დარჩა... მაინც ბევრი მოასწრო და გაკეთა.

ნათელა გელეიშვილი

ჩამი ძმის ფრანტული ამბავი

აბაშის რაიონის სოფელ სახოშტარიოში, გლეხაცის, სიმონ ჩაჩავას ეზოში დღესაც დგას ხეთა ჩრდილში ლამაზი პატარა კოლხური ოდა. ამ სახლში ოთხი ძმა და ერთი და იზრდებოდნენ. ისინი შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. დედა, ნადია ხოშტარია მშრომელი გლეხაცის, ლუკა ხოშტარიას ქალიშვილი გახლდათ. უფროსი ძმა გრიგოლ (გრიშა) ომამდე დაოჯახებულა და ფოთში გადასულა საცხოვრებლად. მას ერთი ვაჟიშვილი, ბორისი ჰყავდა.

დავითს თვრამეტი წელი უსრულდებოდა, როცა დიდი სამამულო ომი დაიწყო. "დღესაც ნათლად მახსოვს, 1941 წლის 22 ივნისი _ იგონებდა იგი _ დილის ხუთი საათია. ამხანაგი სტალინი გულმხურვალე სიტყვებით მიმართავდა რადიოთი მთელ საბჭოთა ხალხს: "ველას მოითხოვს სამშობლო, მტერი დაუყოვნებლივ უნდა განდევნოთ ჩვენი ტერიტორიიდან". გრიშა ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს. იბრძოდა უკრაინის პირველ ფრონტზე. გრიშას შინ, ოთხი თვის ვაჟიშვილი, ბორის ჩაჩავა დარჩა, რომელიც შემდეგ ათწლეულების განმავლობაში ეძებდა ომში დაკარულ მამას, მაგრამ ვერ იპოვა.

"მე გამიწვიეს ორმოცდაერთი წლის დეკემბერში, ჰყვებოდა დავით ჩაჩავა. კარგად მახსოვს, ახალი წელი ისევ 1942-ში ბიჭებმა ერთმანეთს კასპიის ზღვის სანაპირო ქალაქ კრასნოვოდში მივულოცეთ. შემდეგ მალე გავემგზავრეთ ვლადივოსტოკში, ბოლოს მოსკოვის გარეუბანში, ქალაქ ვლადიმირში, სადაც მიგვაბარეს სატანკო სკოლაში. სამთვეში დავამთავრე სკოლა "ზემდეგის" ჩინით. სკოლის დამთავრებისთანავე ჩაგვაბარეს საბრძოლო ტანკი "ტ-34"-121" თავისი ეკიპაჟით. ვიბრძოდით მოსკოვის მიმართულებით. ბრძოლებში ჩვენმა ეკიპაჟმა თავი ისახელა, მტრის ორი ტანკი გამოვიყვანეთ მწყობრიდან, მაგრამ მე და რადისტი გადავრჩით, ჩვენი ტანკიც დაიწვა, სამნი იქვე ჩაიფერფლნენ. მერე გადამიყვანეს მძიმე არტილერიის მსროლელად ლენინგრადის მისადგომებთან".

1944 წლის 25 იანვარს დავით ჩაჩავა დაიჭრა და ლენინგრადის ჰოსპიტალში მოათავსეს. გამოჯანმრთელების შემდეგ ისევ გაიწვიეს ფრონტზე ქალაქ ბილკალინში. მრავალი ხელჩართული ბრძოლის შემდეგ ისევ მძიმედ დაიჭრა, გამოჯანმრთელდა და სადაზვერვო ნაწილში გაანაწილეს. იბრძოდა აღმოსავლეთ პრუსიაშიც: "1945 წლის 10 აპრილამდე გავანთავისუფლეთ ქ. კენისბერგი _ დიდი ფილოსოფოსის, კანტის სამშობლო. აქ ვიბრძოდი ასოცდამეოთხე "წითელდროშოვან მინსკის დივიზიაში გენერალ პაპაჩენკოს მეთაურობით. არასოდეს დამავიწყდება, მე და ფედია შვეცმა სიცოცხლე რისკზე დავდეთ, გზაჯვარედინი გადავჭერით, მტრის ასეული ახლოვდებოდა. სროლა ავუტეხეთ მტერს და ჩვენ ორმა დიდი ზარალი მივაყენეთ მას". _ იგონებს ისევ დავით ჩაჩავა.

დავით ჩაჩავა დაჯილდოვებული იყო მრავალი მედლით. სერვანტესს უთქვამს, ვარსკვლავები ჯარისკაცის მკერდზე ჭრილობებია და ვერავითარი ჯილდო ვერ შეედრება შენარჩუნებულ სიცოცხლეს და მოპოვებულ მშვიდობას "ულრუბლო ზეცას". ომის წლებს ვერასოდეს იგონებდა ბატონი დავითი სინანულისა და ცრემლების გარეშე.

უმცროსი ძმა ილუშა ბელორუსიის ფრონტზე იბრძოდა. მასთან დიდხანს ჰქონდა მიმოწერა ბატონ დავითს. მისი ორიოდე წერილი დღემდე შემორჩენოდა ოჯახს. ულოცავდნენ ერთმანეთს მტერზე გამარჯვებას და შინ მშვიდობით დაბრუნებას უსურვებდნენ. მაგრამ 1947 წლის 19 ნოემბერს პონოვეჟში ლიტველი ბენდერების წინააღმდეგ ჩატარებული მძიმე ოპერაციების დროს დაეცა, შინაგანი ჯარების მებრძოლი ილია სიმონის ძე ჩაჩავა.

წლების შემდეგ დავით ჩაჩავა ქ. სამტრედიაში განაგრძობდა შრომით საქმიანობას. ომის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ის იყო, რომ დედის დაჟინებული მოთხოვნით 1947 წელს პონოვეჟიდან ჩამოასვენეს უმცროსი ძმის ილუშას ნეშტი შინ, გენერალ ურუშაძის დახმარებით, რომელსაც ბებიამ თავისი ექიმბაშური წამლებით პატარა შვილი განუკურნა. ამის შემდეგ მეორე დედად უცვნია მას ქალბატონი ნადია. ილია ჩაჩავა მამის გვერდით მშობლიურ სოფელში მიაბარეს მიწას.

ბებია ძალიან მორწმუნე ადამიანი გახლდათ. სჯეროდა, თუ დასაფლავების დღეს რამდენიმე წუთით პირით გზისკენ დაასვენებდნენ მის ცხედარს, ომში დაკარგული შვილები მისი გასვენების დღეს აუცილებლად მოვიდოდნენ. მოხუცს ესეც შეუსრულეს, თუმცა, ყოველივე რეალობას მოკლებული იყო. მამა 2000 წელს გარდაიცვალა და მშობლების გვერდითაა დაკრძალული აბაშის რაიონის სოფელ სუჯუნაში.

მერაბ ჩაჩავა

პირველი ლარი აფხაზეთში ლერი ჭავჭანიძემ შეიტანა

ნინო ნანიტაშვილი

31 მაისს 80 წელი შეუსრულდებოდა. როგორც ოჯახის წევრები იხსენებენ, მას ძალიან ჰყვარებია თავისი დაბადების დღის აღნიშვნა.

19 წელია, ლერი ჭავჭანიძის ახლობლები 31 მაისს ოჯახის უფროსის გარეშე ხვდებიან, თუმცა ამ დღეს ჭავჭანიძეების ფუძეზე აღნიშვნის გარეშე არასოდეს ჩაუვლია. ერთად შეკრებილები ტკივილითა და სიამაყით იხსენებენ ყველაფერს, რაც მის სახელს უკავშირდება.

შემთხვევითი არ ყოფილა რამდენიმე დღის წინ გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქციაში ქეთევან ჭავჭანიძის სტუმრობა. მამას განსაკუთრებულად თბილი დამოკიდებულება ჰქონდა თქვენი გაზეთის მიმართო, _ გვითხრა ქალბატონმა ქეთევანმა, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ადგილობრივი პრესის მიმართ ათეული წლების წინ მამის მხრიდან გაღვივებულ სიყვარულს.

"მაშინ "წინსვლა" ერქვა. მამა საერთოდ კარგი მკითხველი იყო. გულისხმიერად ეცნობოდა რესპუბლიკურ და საკავშირო პრესას, თუმცა გამორჩეულად პატივს სცემდა სამტრედიელების "წინსვლას". უფრო შინაურული და თბილია. _ ამბობდა იგი, რადგან თქვენი გაზეთის ფურცლებზე მაშინ ძირითადად მშრომელ ადამიანებზე იწერებოდა. ახლაც კარგად მახსოვს მამაზე გამოქვეყნებული სტატიები: "ამაგდარი რკინიგზელი", "საამაყო რკინიგზელი", "ერთგულება დაუფასდა" და ასე შემდეგ.

ქეთევან ჭავჭანიძე იმდროინდელი პრესის მუშაკს, კორნელი ჩიხლაძესაც იხსენებს, რომელსაც რკინიგზელ ლერი ჭავჭანიძეზე უამრავი საგაზეთო სტატია აქვს დაწერილი.

" მამასთან ინტერვიუზე მე-13 და მე-14 საშუალო სკოლების მოსწავლეებიც მოდიოდნენ და საათობით ესაუბრებოდნენ იმ სამუშაოზე, რომლითაც ის სხვადასხვა წლებში იყო დაკავებული". _ განაგრძობს ქეთევან ჭავჭანიძე, დომენტი შანიძის სახელობის სამუსიკო სკოლის პედაგოგი.

61 წლის იყო ლერი ჭავჭანიძე, როცა გარდაიცვალა. მხოლოდ ერთი კვირა იავადმყოფა. თხემით ტერფამდე რკინიგზელს, საქართველოს რკინიგზა სტკიოდა. ლერი ჭავჭანიძის დაღუპვის წინაპერიოდი ქვეყნის შიგნით დაძაბულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობას დაემთხვა. რკინიგზამ სერიოზული დანაკარგები განიცადა.

"მამა საერთოდ სიტყვაძუნწი ადამიანი იყო, შრომისმოყვარე, ერთგული და თბილი. თავისი რკინიგზელობა სულ ეამაყებოდა. დარგში მოღვაწეობა მუშის პროფესიით დაიწყო და ბოლოს მემანქანე გახდა. 90-იან წლებში სიტუაცია რომ შეიცვალა, ამას ძალიან განიცდიდა. განსაკუთრებით კუპონი აღიზიანებდა. "შილიონერი მქვია და ამ ფულს ძალა არა აქვსო", _ ამბობდა გაღიზიანებული. ლარი რომ შემოვიდა, ცოტათი ამოისუნთქა და იმედი მიეცა. პირველი ქართული ფული 1995 წელს მამამ შეიტანა აფხაზეთში. როცა იქ წასვლა შესთავაზეს, უკან არ დაუხევია. სიხარულით გაემგზავრა განსაკუთრებული ეშელონით. სოხუმში შესვლა არ შეიძლებოდა და პირველი ლარი მან გალში დატოვა". _ სიამაყით იხსენებს ამ ფაქტს ლერი ჭავჭანიძის ქალიშვილი.

ბატონი ლერი 1936 წლის 31 მაისს სამტრედიაში, რკინიგზელთა ოჯახში დაიბადა. 16 წლისა იყო, სალოკომოტივო დეპოში მუშად რომ დაიწყო მუშაობა და სიცოცხლის ბოლომდე სალოკომოტივო დეპოს თანამშრომლად ითვლებოდა.

1953-1998 წლები ლერი ჭავჭანიძემ თავისი საქმის სიყვარულითა და რკინიგზაზე უზომო თავდადებით გაიარა. სხვადასხვა დროს იყო ელმავალშემკეთებელი საამქროს უფროსი, თანაშემწე, მემანქანე და ბოლოს მემანქანე-ინსტრუქტორი.

დინჯი, აუჩქარებელი, ერთგული, როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში _ ასე ახასიათებენ ლერი ჭავჭანიძეს ოჯახის წევრები და კოლეგები. მან არაერთი ახალგაზრდა დაკავალიანა, რომლებიც დღესაც სალოკომოტივო დეპოში მუშაობენ.

სხვადასხვა დამსახურებისათვის ის დაჯილდოვებული იყო მედლებით. ჰქონდა მინიჭებული "საპატიო რკინიგზელის" წოდება.

ლერი ჭავჭანიძე 1998 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა. მისი სახელი მის ოჯახში დღემდე დაუვიწყარია. სოცოცხლე გრძელდება _ მეუღლე ნელი ჭავჭანიძე, 2 შვილი, 4 შვილიშვილი და 9 შვილთაშვილი. "შვილიშვილებს მოესწრო, შვილთაშვილები მისი გარდაცვალების შემდეგ დაიბადნენ, თუმცა მათში დიდი ბაბუის სიყვარულს ყველა ჩვენგანი გააღვივებს. იგი არაჩვეულებრივი მეუღლე და მამა იყო. როგორც რკინიგზელს, წელიწადში ერთხელ მომმე რესპუბლიკებში უფასო მგზავრობის შესაძლებლობა ჰქონდა, რასაც მამა ხელიდან არ უშვებდა. მისი წყალობით შემოვლილი გვაქვს მოსკოვი, პეტერბურგი, ხარკოვი, ოდესა, ბალტიისპირეთი. როცა არ ვახლდი, მამას საჩუქრად ნოტები ჩამოჰქონდა, რითაც ძალიან მახარებდა და მანებივრებდა. მინდა, რომ ლერი ჭავჭანიძისნაირი მამა ბევრი იყოს საქართველოში". _ გამომშვიდობებისას ეს სიტყვები გვითხრა ქეთევან ჭავჭანიძემ და მამისეული სიყვარულით დატოვა "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია.

ახალბედა კარატისტები საპრიზო ადგილებზე გავიდნენ

კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს სამტრედიელმა კარატისტებმა. სენსეი მიხეილ ქანთარიამ ამჯერად ახალბედა კიოკუშინკაიელების წარმატებების შესახებ გვაცნობა. თამარ ბიბილეიშვილის მსგავსად, კარატისტი გოგონები ცდილობენ, თავი ისახელონ. მათ 26-27 მაისს ქალაქ თბილისში გამართულ საერთაშორისო ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა. ჩემპიონატის ორგანიზატორი "საქართველოს კიოკუშინკაიკანის კარატეს ეროვნული ფედერაცია. მაცუშიმას ორგანიზაცია" იყო.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსურმა სპორტულმა სკოლამ (დირექტორი ვანო კილტავა, მწვრთნელ-მასწავლებელი სენსეი მიხეილ ქანთარია) შეჯიბრებაში მანანა მუქერია, თამარ გახარია და მარიამ გოგიტაური წარადგინა.

კარატისტმა გოგონებმა საპრიზო ადგილები მოიპოვეს. ჩემპიონის ტიტული და პირველი ადგილი მანანა მუქერიამ დაისაკუთრა. მესამე საპრიზო ადგილზე თამარ გახარია გავიდა, ხოლო მეოთხე საპრიზო ადგილი მარიამ გოგიტაურმა დაიკავა.

სპორტსმენები დაჯილდოვდნენ დიპლომებით, მედლებითა და თასებით.

"სამტრედიის მაცნე"

"სამტრედია" ევროსარბიელზე გავიდა

უმაღლესი ლიგის XXIX ტური დასრულდა, სადაც საფეხბურთო კლუბმა "გურიამ" საფეხბურთო კლუბ "სამტრედიას" უმასპინძლა და დამარცხდა ანგარიშით 0:2. "სამტრედიამ" კი გამარჯვებით საბოლოო მატჩამდე გარანტირებული მე-2 ადგილი მოიპოვა.

31-ე წუთზე ბურთი სანდოხაძემ გაიტანა, ხოლო 62-ე წუთზე _ დათუნაიშვილმა.

წლევანდელი სეზონის ბოლო ტურში საფეხბურთო კლუბმა "სამტრედიამ" საფეხბურთო კლუბ "ბოლნისს" უმასპინძლა, სადაც "სამტრედია" მინიმალური ანგარიშით 1:2 დამარცხდა, თუმცა ამ დამარცხებას ხელი არ შეუშლია სამტრედიისთვის, დაეკავებინა მე-2 ადგილი საქართველოს 2015-2016 წლის XXVII ჩემპიონატში.

გია ცეცაძის გუნდმა 63 ქულა მოაგროვა და 21 წლის შემდეგ იმერული კლუბი ისევ ევროსარბიელზე გავიდა.

სამტრედიის "სამტრედია" ზაფხულში ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე იასპარეზებს.

სპეციალისტების აზრით, სწორედ იმერლებს ჰყავთ წლეულს ყველაზე კარგად შეთამაშებული შემადგენლობა, შესაბამისად, იმედებიც დიდია.

ბოლო მატჩის დასრულების შემდეგ სამტრედიაში ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე დაჯილდოვების ცერემონია გაიმართა. ეროვნულ ჩემპიონატზე მოპოვებული ვერცხლის მედლები სამტრედიელ ფეხბურთელებს და კლუბის წევრებს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელმა, კახა ჭუმბურიძემ და მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ვალერიანე ფოცხვერიამ გადასცეს.

ნინო ანანიაშვილი

ჯიჰიდე ჯიჯაჩეიშვილი

ოჯახი და სამსახური იყო თქვენი საქმიანობის მთავარი მიზანი. დიდი გულისტკივილი და სინანული დაგვიტოვა თქვენმა ამ ქვეყნიდან უდროოდ წასვლამ. 12 წელი ემსახურეთ რკინიგზის ვაგზალს. ბატონო კირილე, თქვენ უსაზღვროდ გიყვარდათ თქვენი კოლექტივი, დაუვიწყარია ბოლო შეხვედრა, როგორ ცდილობდი რით გესიამოვნებინა ჩვენთვის, ჩვენო კეთილო, ხალხის მოსიყვარულე და იუმორით სავსე ადამიანო. თქვენზეა ნათქვამი, რომ ღმერთსაც კარგი უყვარსო. ვიცით, რომ დაგვაკლდები, ვილოცებთ თქვენი სულის უკვდავებისათვის. თქვენს საფლავს არასოდეს მოაკლდება ცრემლი, ყვავილები და წმინდა სანთელი.

სამტრედიის ვაგზლის კოლექტივი

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია თანაუგრძნობს ლამარა დუნდუას სიძის

თემურ შუბლაძის

გარდაცვალების გამო.

ვაჟა ტერელაძე ოჯახით თანაუგრძნობს ლამარა დუნდუას სიძის

თემურ შუბლაძის

გარდაცვალების გამო.

მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკა თანაუგრძნობს ლამარა დუნდუას სიძის

თემურ შუბლაძის

გარდაცვალების გამო.

"სახლი თანადგომას" თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბადრი და მანანა შენგელიებს

ძმის

გარდაცვალების გამო

ჰოგორ მოვიშოროთ არასასიამოვნო სუნი

ჭურჭელზე თევზის, მჟავე კომბოსტოს, ნივრის სუნის მოსაცილებლად საჭიროა ისინი გავრეცხოთ ძმრიანი თბილი წყლით (2 ლიტრ წყალზე 2 სუფრის კოვზი ძმარი). თევზის სუნი შეგიძლიათ მოაშოროთ ცხელი, ძალიან მარილიანი წყლით.

ხელებზე და დანაზე თევზის სუნის გასაქრობად საკმარისია მცენარეული ზეთის წასმა.

ხელებზე ხახვისა და ნივრის სუნი ადვილად გაქრება, თუ ცოტაოდენი ყავით გაწმენდთ.

კარტოფილის გათლისას ხელები არ გაგიშავდებათ, თუ წინასწარ დაისველებთ ძმრით და შეიშრობთ.

თერმოსში არასასიამოვნო სუნის გასაქრობად საკმარისია მასში გამოავლოთ ძმრიანი წყალი.

თუ სამუშაო ოთახში **თამბაქოს კვამლი** დაგროვდა და მისი განიავების საშუალება არ გაქვთ, ოთახში დაკიდეთ წყლით გაჟღენთილი ღრუბელი. ის შეისრუტავს მთელ კვამლს.

მალინა დუნდუასა და თემურ შუბლაძის გახსენება

გარდაიცვალა დიდი ჯიხაიშის გიორგი ნიკოლაძის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგი, ბატონი თემურ შუბლაძე, რომელიც 48 წლის მანძილზე მოღვაწეობდა ამავე სკოლაში.

ბატონმა თემურმა ერთი თვის წინ დაკარგა შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი მალინა დუნდუა, რომელიც ჩვენი სკოლის დამსახურებული პედაგოგი გახლდათ.

აღსაზრდელები, კოლეგები არასოდეს დაივიწყებენ ქალბატონ მალინასა და ბატონ თემურ მასწავლებლებს.

ნათელში ამყოფოთ უფალმა!

დიდი ჯიხაიშის გიორგი ნიკოლაძის სახელობის საჯარო სკოლის დირექცია და პედკოლექტივი

მე ის ვარ ის, ვინც დაჭირებებს ის ასრულებს

მე-11 საჯარო სკოლას ჯერ კიდევ მაშინ, როცა მე-12 კლასელებს საგამოცდო ციებ-ცხელება ჰქონდათ, ახალგაზრდებისათვის საყვარელი მომღერალი ბერა ჰყავდა, სტუმრად. დიახ, უბრალოდ ბერა, რადგან საუბარი ერთი წინადადებითაც კი არ შეხებია პოლიტიკას. არადა, ისაუბრეს თითქმის ყველაფერზე, ბევრი კითხვა ჰქონდათ მასთან. თითქმის ერთი თაობისანი არიან და აქაური მოსწავლეები მისი ცხოვრების ყველა ნიუანსით დაინტერესდნენ. პასუხებიც, რა თქმა უნდა, მიიღეს კითხვებზე და გაარკვიეს, რომ კარიერა,



პირველი კონტრაქტით დაიწყო, რომელიც 14 წლის ასაკში გააფორმა მომღერალმა; რომ მისი შთაგონების წყარო სიყვარულია, ზოგადად, სიყვარული და არა მხოლოდ ვინმე ერთი ადამიანის; რომ ახალ კლიპებს წერს და კიდევ სხვებზე მუშაობს; რომ მშობლები მისთვის ყველაზე მისაბაძი ადამიანები არიან; თავისუფალ დროს უმცროს ძმასთან ყველაზე ხალისიანად ატარებს; რომ მისი საუკეთესო მეგობარი დემეა, მამამისის ბავშვობის მეგობრის შვილი; საყვარელი სპორტსმენი, თქმა რად უნდა, კალაძეა, ფეხბურთი უყვარს, "რეალის" ფანია და ზიზუს აღმერთებს. ასე რომ, ახალგაზრდულ ინტერესებს შესაფერი კითხვებით იკმაყოფილებდნენ მოსწავლეები.

მერე კი თავად გაცნეს თავიანთი თანასკოლელი, ნიჭიერის გამარჯვებული ოთო ბუაძე. ოთომაც გარეპა, მაგრამ რა გარეპა, ბერაც აიყოლია და ფაქოც, მას რომ ახლდა და მიკროფონით ყველა იმ ბავშვის გვერდით გაჩნდებოდა, კითხვის დასმა რომ მოუნდებოდა.

ჰოდა, ოთომ გარეპა და სამომავლოდ ურთიერთობები იქნებ გაღრმავდეს კიდეცო, ბერამ, რადგან ძალიან მოეწონა იგი, ასე ბევრი ვერ რეპავსო, უთხრა. მერე, აბა, რისთვის იყო მოსული და მერე ერთად გარეპეს კიდეც.

ბავშვებსაც მეტი რა უნდოდათ, იყო დიდი მხიარულება მე-11 საჯარო სკოლის სააქტო დარბაზში. საჩუქრებიც დარიგდა, დისკები ავტოგრაფით, მაისურები, სამაჯურები. კიდევ ერთ კონცერტს ელოდეთ სამტრედიელებიო, ბერამ და სამტრედიისადმი, როგორც დედის და ბებია-ბაბუის მშობლიური ქალაქისადმი განსაკუთრებული სითბო გამოხატა.

ამ სკოლის კურსდამთავრებული, ჟურნალისტი, პარლამენტარი ოთარ ჩრდილელი მოსვლისთანავე შეეგება ბერა ივანიშვილს. თბილი შეხვედრა ჰქონდათ.

"ამჯერად ტურნე სკოლის კურსდამთავრებულებისთვის დავგეგმეთ. ჩვენს ჯგუფს უნდა, მათ გზა ასე დაულოცოს ცხოვრების ახალი ეტაპის დაწყების წინ. გუშინ ქუთაისში გახლდით, დღეს აქ ვართ. აქ, სამტრედიაში კიდევ რომ ჩამოვალ, ამის პირობა უკვე მივეცი ბავშვებს და მე არ ვარ ის, ვინც დაპირებებს არ ასრულებს!" _ ეს თავად გვითხრა ბერამ. მერე სამახსოვრო ფოტო სკოლის პედაგოგებთანაც გადაიღო და შთაბეჭდილებათა წიგნში რამდენიმე თბილი სიტყვა ჩაწერა.

თეა ბაბუნაშვილი

სამტრედიელი შაურმის გულისთქმა

(ჩვენს ქალაქში თვალშისაცემად მოძრავლებულ საშაურმეებში ყურმოკრული)

***

ჩემი ფასი აქვს კვირა დღეს,
ცინცხალ ხორცს კილოგრამიანს,
მაგრამ მაინც მე მირჩევენ
ასჯერ მოხრაკულს, შხამიანს.
მარადის მოწუწუნენი
საგსე საფულეს ვახსნიან,
სალაროს ვანიავებას
მუცლის კმაყოფით ახსნიან.
მოსწონთ და არ კი იციან,
შეეცევიან ბებერ ღორს,
იმგვარი მადით ჩამებერენ,
თითქოს სინჯავენ მეგრულ ღომს.
მორალი ერთადერთია,
ქუჩაში ვართ თუ შინაო,
როცა ვნაყრდებით, გვახსოვდეს
ხელვაწვდილის ხმა _ მშიაო!

ჩვენო მარი!

სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერ მომავალს და უამრავ წარმატებას სწავლასა და პირად ცხოვრებაში. შენი კარგი ქალობით გაგეხარებინოს შენთვის კარგის მსურველები.

"სამტრედიის მაცნე"

ჩემს საყვარელ **მარის** ვულოცავ დაბადების დღეს კეთილი სურვილებით.

ბექან გოგია

ჯონი ჯოჯუას!

გილოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენს ლამაზ ოჯახთან ერთად.

ბექან გოგია

გულიკო გოგიტიძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. წარმატებები დაგებედოთ. ბედნიერი დედა და ბებია დიდხანს ყოფილიყავით თქვენი პროფესიის სადარაჯოზე.

"სამტრედიის მაცნე"

ქალბატონ ნანული კიკაბიძეს!

ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ წინსვლას, სიხარულს, წარმატებებს, ღვთის წყალობას თავის საყვარელ შვილებთან, შვილიშვილებთან ერთად.

მზევინარ ბუზუა

ქალბატონ ნანული კიკაბიძეს!

გილოცავთ დაბადების დღეს. დღეგრძელი, ჯანმრთელი და ბედნიერი დიდხანს გვენახე შენს დიდ ოჯახთან ერთად. გვიყვარხარ ძალიან.

ანიკ "სახლი თანადგომას" თანამშრომლები

ვენერა პაპავას!

ჩვენო ენერგიულო, მარად უბერებელო ქალბატონო. წლები ვერაფერს აკლებს შენს სულსა და სხეულს, პირიქით, უფრო მხნედ ხვდები ყოველი დღის გათენებას და სიხარულით მოისწრაფი სამსახურისკენ, სადაც ბევრი საქმე და ულევი სიყვარული გელოდება. კვლავ ასეთი შემართებით შეხვედროდე წელთა მატებას, იხარე და იბედნიერე შენს შვილებთან, შვილიშვილებთან და შვილთაშვილებთან ერთად.

"სამტრედიის მაცნე"

ჩვენს საყვარელ ქალბატონ **ვენერა პაპავას** ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად!

თეთრი შურით, ალბათ, ბევრს შეშურდება ქალბატონი ვენერას შემართება. არც არავის გაუკვირდება, რომ ვთქვათ, ბევრ ახალგაზრდას ჯობნის-თქო.

გვიყვარხათ ძალიან, რადგან სტიმულის მიმცემი ხართ ბევრისთვის. ჩვენთვის ნამდვილი ქალი-ლეგენდა ბრძანდებით!

ანიკ "სახლი თანადგომას" თანამშრომლები

ჟუჟუნა ხურცილავას!

მინდა, რომ ძალიან, ძალიან დიდხანს მიანიჭო შვილებს ის ბედნიერება, რასაც დედის ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქვია. ორი ერთმანეთზე საუკეთესო ქალიშვილის, იასა და თამარის აღმზრდელს უფალი ჯანმრთელობას გაგიძლიერებს და სიხარულით სავსე დღეებს არ მოგაკლებს. ქალბატონო ჟუჟუნა, მოწიწებით გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ, თქვენი ქალიშვილების ბედნიერებას კვლავაც დიდხანს უყუროთ.

ლუარა კასიანი

ნათელა ჯიმშელეიშვილს!

ჩვენო საყვარელო და ერთგულო ნათელა გილოცავთ დაბადების დღეს. გაიხარე. ღმერთმა გაგიძლიეროს შენი შვილები და შვილიშვილი. მუდამ შენი ბედნიერების და სიხარულის ამბები გვესმოდეს.

"სამტრედიის მაცნე"

რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 790 391839

მაცნე სამტრედიის

დირექტორი ბექან გოგია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ჭელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან გაბეჩავა
კომპიუტერული უზრუნველყოფა მაკა პაპავა